

საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი 2008 წ.
http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1329&info_id=21604

ქართული პარიამენტი

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის ხელმძღვანელობა:

დავითაია პაატა - თავმჯდომარე

წევრები

1. გაბაშვილი გიორგი
2. გოგორიშვილი ხათუნა
3. გოგუაძე გია
4. ვეფხვაძე ლევანი
5. თარგამაძე გიორგი (გივი)
6. თედორაძე რამაზი
7. ლალიაშვილი ნიკოლოზი
8. ლორთქიფანიძე დიმიტრი
9. მინაშვილი აკაკი

2008-11-22 21:07

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 22 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

II ნაწილი

(აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მალხაზ აქიშბაია)

2008-
11-22
21:07

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის 2008 წლის 22 ნოემბრის სხდომის სტენოგრამა

სხდომას თავმჯდომარეობს დროებითი საგამომიებო კომისიის თავმჯდომარე პ. დავითაია

თავმჯდომარე. მოგესალმებით. დიდი მადლობა, ბატონო მალხაზ, მობრძანებისათვის. როგორც ცნობილი არის, პარლამენტის დადგენილებით, შექმნილი არის დროებითი საპარლამენტო კომისია, რომელიც შეისწავლის აგვისტოს მოვლენებს და აგვისტოში განვითარებულ სიტუაციას. აქედან გამომდინარე, თქვენ, როგორც აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე, მზადა ხართ თუ არა ითანამშრომლოთ დროებით საპარლამენტო კომისიასთან და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ ინფორმაცია.

მ.აქიშბაია. მოგესალმებით. მე, მზადა ვარ ვითანამშრომლო კომისიასთან. პირიქით, მივესალმები ამ კომისიის შექმნის იდეას იმისათვის, რომ ვიცით, რომ კითხვები არის ბევრი და ჩვენ მზადა ვართ ყველა კითხვაზე გავცეთ სრულყოფილი, კომპეტენტური და ობიექტური პასუხი.

თავმჯდომარე. დიდი მადლობა, ბატონო მალხაზ. კომისიის მუშაობის სტილი მდგომარეობს იმაში, რომ იქნება დასმული რამოდენიმე კითხვა ბლოკებისდა მიხედვით და იქნება პასუხები, თქვენს მიერ გაცემული. თუ

რაც დამატებითი კითხვები გაჩნდა, ჩვენ კითხვებს დავუმატებთ. როგორც ცნობილი არის, აგვისტოს მოვლენების პერიოდში მოხდა ისე, რომ სეპარატისტული მხარის ჯარებმა და აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის ჯარებმა, მოახდინეს შეტევა კოდორის ხეობაზე და მოახდინეს კოდორის ხეობის დაკავება. რა ხდებოდა, სანამ დავიწყებთ ჩვენ, უშუალოდ, ამ სიტუაციებზე საუბარს, საუბარი არის აგვისტოს მოვლენებზე. რა ხდებოდა აფხაზეთში, კერძოდ, კი, საუბარია კოდორის ხეობის მიმართულებით, რა პროვოკაციები იყო . . . , თუ გქონდათ თქვენ ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია, როგორ იძაბებოდა მდგომარეობა კონფლიქტის ზონაში, თუ ფლობდით ამაზე ინფორმაციას და ვის აწვდიდით, კერძოდ, ამ ინფორმაციას და ვისთან გქონდათ კოორდინირება. ეს პირველი საკითხი. დამატებითი ამ საკითხთან დაკავშირებით თუ აქვს ვინმეს დამატებითი კითხვა? აგვისტოს მოვლენებამდე. მაშინ, ბატონო მალხაზ, ამ საკითხზე გაგვეცით პასუხი და შემდგომ იქნება დამატებითი კითხვები.

მ.აქიშბაია. დიახ, მაღლობა პირველი კითხვისთვის. ე.ი. ჩვენ, მოგეხსენებათ, რომ მდგომარეობა იყო ძალიან მძიმე და რთული, საერთოდ, ბოლო წლების განმავლობაში, არათუ მარტო აგვისტოს მოვლენებამდე აფხაზეთში. ჩვენ ამასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კომენტარები გაგვიკეთებია იგივე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლობისთვის სხვადასხვა არხების საშუალებით. მდგომარეობის გართულება აფხაზეთში, როგორც ცნობილია, დაიწყო რუსეთის მხრიდან იმ გადაწყვეტილების შემდგომ, როდესაც, პრაქტიკულად, შემოყვანილი, მე ვამბობ ყველაზე მწვავე ფაზას, როდესაც შემოიყვანეს ე.წ. სარკინიგზო საჯარისო-შენაერთები, ნუ, არ ვსაუბრობ არაფერს უკვე გალის რეგიონში მიმდინარე ძალიან რთულ მდგომარეობაზე, განსაკუთრებით, ეს არის ის რეგიონი, სადაც ეთნიკური ქართველების უფლებები მასიურად და უხეშად და ძალიან ხშირად ირღვევა და ჩვენ ამასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კომენტარები გაგვიკეთებია. ამავდროულად მინდა აღვნიშნო ის გარემოებაც, რომ საგრძნობლად გაიზარდა თვითონ რუსეთის საჯარისო შენაერთების რაოდენობა აფხაზეთის ტერიტორიაზე. ბუნებრივია, ეს ყველაფერი იწვევდა შეშფოთებას ჩვენი მხრიდან. ირღვეოდა ყველანაირი შეთანხმება, რუსეთის საჯარისო შენაერთები გასცდნენ თავიანთ მანდატს ანუ სამშვიდობო მანდატს და ეს ყველაფერი იწვევდა ჩვენში, რა თქმა უნდა, აღშფოთებას. ჩვენ ვთანამშრომლობდით შესაბამის სამსახურებთან. ჩვენ პერიოდულად ვაწვდიდით ინფორმაციებს როგორც უშიშროების საბჭოს, ასევე სადაზვერვო სამსახურის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, და განსაკუთრებით ეს თანამშრომლობა გაგრძელდა და ინტენსიური გახდა მას შემდგომ, როდესაც ზემო აფხაზეთზე ანუ კოდორის ხეობაზე დაიწყო აგრესიული, იქნა გადადგმული აგრესიული ნაბიჯები.

თავმჯდომარე. ბატონო მალხაზ, თქვენ ფლობდით თუ არა ინფორმაციას, რომ მზადდებოდა თუ არა კოდორის ხეობისკენ განხორციელებული ოპერაცია, რომელიც განხორციელდა?

მ.აქიშბაია. რთულია ამ კითხვაზე ასეთი ფორმით გასცე პასუხი, მაგრამ იმ 2 წლის განმავლობაში, რაც, პრაქტიკულადაც ჩვენ გვიხდებოდა ზემო აფხაზეთში მიმოსვლა და ის წარმატებები, რაც ჩვენ გვქონდა, ბუნებრივია, სხვადასხვა რუსული პრესის საშუალებით და სხვადასხვა რუსეთის პოლიტიკოსების გამოსვლებით, ისევე, როგორც სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ჩვენ გვახსოვს არაერთი მუქარა, სისხლიანი ახალი წლის ღამეები, მათთვის თვეებში და ასეთივე შემთხვევით ჩამოვთვალა რამოდენიმე, ყველა ამ მუქარების დროს მე ვიმყოფებოდი კოდორის ხეობაში. საერთოდ, იყო განწყობა ისეთი, იგრძნობოდა და, მათ შორის, თუ გავითვალისწინებთ 2007 წელს მომხდარ დაბომბვას, რომლის დროსაც დაზიანდა, პრაქტიკულად, აფხაზეთის მთავრობის რეზიდენცია კოდორის ხეობაში და სხვა ასეთ ინციდენტებს თუ გავითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, შესაძლებლობა იმისა, რომ ზემო აფხაზეთზე განხორციელებულიყო ეიერი, ამის არსებობდა.

თავმჯდომარე. ბატონო მალხაზ, თქვენი, პრეზიდენტის ბრძანებულებით, დისლოკაციის ადგილი არის კოდორის ხეობა და თქვენ როდესაც ხედავდით, რომ აი, მით უმეტეს, რასაც თქვენ ხაზი გაუსვით, რომ იყო თავდასხმა და ეს ცნობილი ფაქტი არის, იყო დაბომბვა კოდორის ხეობის, საუბარი არის იმაზე, რომ შემუშავებული თუ იყო და არსებობდა თუ არა გეგმა, ვთქვათ, იგივე სამოქალაქო თავდაცვის კოდორის ხეობაში თუ იყო ეს შემუშავებული ვის მიერ იყო შემუშავებული? ვინ იყო ამისი კოორდინატორი და რას ისახავდა . . . მიზნად? პირველ რიგში, მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენი ფუნქციონირების ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ხეობაში მიმდინარე სოციალურ – ეკონომიკური პროცესების მდგომარეობის გაუმჯობესებას, აღმშენებლობით პროცესს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვსაუბრობდით, ამავდროულად, იმიტომ, რომ ყოველდღიურად, პრაქტიკულად, ვიყავით საფრთხის წინაშე ანუ საფრთხე რეალურად შეიძლება წამოსულიყო დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლობიდან. იმიტომ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ვფიქრობდით ასეთ საკითხებზეც. ჩვენ, ზემო აფხაზეთი არის ის ადგილი, სადაც საქართველოს კანონმდებლობით მორჩა, ე.ი. თვითმმართველობის ორგანოების, ჩვენ გვყავდა იქ თვითმმართველობის ორგანოები, რომელთანაც ერთად ვთანამშრომლობდით და გვექონდა საუბარი ასეთ საკითხებზე, მაგრამ კოდორის ხეობა უნდა გვახსოვდეს ყველას, რომ არის რელიეფურად ძალიან რთული და მიუდგომელი ადგილი. პირველი წლის განმავლობაში ჩვენ, პრაქტიკულად, გვიწევდა ზემო აფხაზეთში ასვლა ძველი გზით, რომელსაც ყველაფერი შეიძლება

დაარქვა გარდა გზისა და იყო ძალიან ე.ი. არაკომფორტული. და იცით შემდგომ, რომ მოხდა ახალი გზის მშენებლობა, რამაც, პრაქტიკულად, გაადვილა, აი ესეთ პირობებში თუ მოხდებოდა თავდასხმა ან რაღაც აგრესია ე.წ. სეპარატისტული ან რუსების მხრიდან და ბუნებრივია, ამ ფაქტმა ბევრად გაგვიადვილა ჩვენ მიმოსვლა, ვინაიდან დროშიც და კომფორტის თვალსაზრისითაც ბევრად უფრო ადვილი იყო. ამიტომ ნაკლებად ვზრუნავდით, უკვე ნაკლებად ვზრუნავდით აი ამ საფრთხეებზე და თვითონ იმ პრობლემებზე, რაც შეიძლებოდა წარმოქმნილიყო დევნილების ანუ თვითონ მოსახლეობის ევაკუაციასთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე. ნუ, ფაქტია თქვენი პასუხიდან ჩანს, რომ გეგმა, ევაკუაციის გეგმა, ვთქვათ, შემუშავდა . . .

მ.აქიშბაია. არა, ევაკუაციაზე არაა საუბარი.

თავმჯდომარე. სამოქალაქო? სამოქალაქო თავდაცვის გეგმაზე და, დავუშვათ, იგივე ევაკუირების გეგმა, შეიძლება ამას მიბმული იყოს ეს საკითხი, იმიტომ ვუსვამ ამას ხაზს, ფაქტიურად, მთავრობის დონეზე არ იყოს, იმიტომ, რომ ეკონომიური აღმავლობის საკითხისკენ მიდიოდეს ზრდა, ხომ?

მ.აქიშბაია. არა.

თავმჯდომარე. ვერ გავიგე.

მ.აქიშბაია. არა, საუბარია იმაზე, რომ ჩვენ ამისათვის მზად ვიყავით, უბრალოდ, ახლა ოფიციალური დოკუმენტი ამისა...

თავმჯდომარე. ეგ მაინტერესებდა. საუბარი არის ეკონომიკური

მ.აქიშბაია. ბატონო თავმჯდომარე. ერთს დავუმატებდი. პრეზიდენტის განკარგულებით, ზემო აფხაზეთი იყო აფხაზეთის მთავრობის ძირითადი სათაო ოფისი, ჩვენი მთავრობის სტრუქტურები საქართველოს სხვა დანარჩენ რეგიონებშიც არიან განაწილებული. ჩვენ პირველივე დღიდან შევიმუშავეთ გეგმა, რომ კოდორის ხეობაში აფხაზეთის მთავრობის წევრები იქნებოდნენ ანუ იქნებოდა როტაციული პრინციპი პირველი დღიდან, სადაც სეზონის მიხედვით, ნუ, სადაც საშუალოდ გამოგვდიოდა ყოველი როტაციის დროს იყო 15-მდე ადამიანი წარმოდგენილი ხეობაში. ეს იყო უწყვეტი პროცესი. მთავრობის თავმჯდომარეზე ჩვენ შევთანხმდით წინასწარ, რომ ჩემზე არ გავრცელდებოდა რაღაც გრაფიკული რეჟიმი, ვინაიდან მე მიწევდა ხეობაში ორჯერ და მახსოვს, რომ მაისიდან ივნისის თვეში.

თავმჯდომარე. ბატონო მალხაზ, ამ გეგმებს თქვენ ადგენდით, ხომ? სწორია მთავრობის თავმჯდომარე?

მ.აქიშბაია. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ანუ ჩემი მიმოსვლა ხეობაში იყო ე.ი. არანაირი რაღაც წინასწარი გეგმების გარეშე, როგორც კი ღონისძიება იყო დაგეგმილი ხეობაში და მე მახსოვს, რომ მინიმუმ ორჯერ თვეში მოხდებოდა ასვლა და იყო პერიოდი, როცა 5-ჯერ არც ვარ ასული, მაგრამ რომ იცოდეთ ეს, ხომ, ძალიან ვადებში დროის ფაქტორს თუ გავითვალისწინებთ, ძალიან გრძელი გზაა. სადაც ნორმალურ პირობებში მანქანით თბილისიდან ხეობამდის მჭირდებოდა სადაც 12 საათი, როგორც მინიმუმ. ზამთრის პერიოდში იყო დრო, რომ ერთი მთლიანი დღე ჩავდიოდით ხეობაში, რადგან იყო ზვავსაშიშროება, თოვლი და ა.შ. აი ეს იყო ჩემი პასუხი რომ დამეკონკრეტებინა თქვენთვის.

თავმჯდომარე. მე ამ გეგმასთან დაკავშირებით იმიტომ დავსვი საკითხი, რომ, ფაქტიურად, თითქმის, ჩვენ ყველა მთავრობის წევრს დაუსვით ეს საკითხი და იკვეთება ის, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტროს ჰქონდა ეს გეგმა შემუშავებული. თქვენს მთავრობაში არის, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჩვენ გამოვითხოვეთ სტრუქტურა არის საგანგებო დავალებათა, თუ არ ვცდები, შეიძლება, შეიძლება, არ მემლება, ასე ვთქვათ, საგანგებო დავალებათა სამინისტროსავით, რომელიც უფრო აუცილებლად წარმოადგენდა ამ განხორციელებას. მე მაინტერესებს, თქვენ, როგორც მთავრობის თავმჯდომარეს, სამინისტრომ, თქვენდამი დაქვემდებარებულმა სამინისტრომ, რატომ არ მოგაწოდათ ასეთი ინფორმაცია? თქვენი აზრი მაინტერესებს ამ მიმართულებით.

მ.აქიშბაია. ბატონო თავმჯდომარე, რასთან დაკავშირებით, ვთქვათ

თავმჯდომარე. აი, ვთქვათ იგივე სამინისტროს კომპეტენციაში შედის დავალებათა სამინისტროს კომპეტენციაში შედის ის მიმართულებები, რომელიც მოხდა კოდორის ხეობაში, კერძოდ, ის ვთქვათ რასაც ქვია, ვთქვათ ევაკუაციიდან დაწყებული დამთავრებული პირობითად ვლავარაკობ, ვთქვათ, გეგმის შემუშავებას, სამოქალაქო თავდაცვის ინფორმაციის მოპოვების, თქვენ როდის აღნიშნეთ, რომ ჰქონდათ საუბარი, მხოლოდ და მხოლოდ საუბრის, ადრე სამართლებრივ დოკუმენტი არ ჰქონდა ამას მიღებული, თქვენი აზრი მაინტერესებს, როგორც რატომ არ მოხდა? რა არის ამის მიზეზი, რომ ვთქვათ, ეს მთავრობის ბრალია თუ, კერძოდ, სამინისტროს ბრალია, რომელმაც არ წარმოგიდგინათ ეს გეგმა.

მ.აქიშბაია. არა, სამინისტროზე მე ხომ გადაბრალებას არ დავიწყებ, ბუნებრივია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ გვექონდა საუბარი ამ საკითხებზე, ჩვენ არაერთი ფაქტი გვექონია საშიშროების, თავდასხმის არაერთი საგანგაშო ცრუ რაღაც ღონისძიებები იყო ხეობაში. ჩვენ გვექონდა შესაბამისი ადგილები, სადაც მოხდებოდა ამ ადამიანების ევაკუაცია იგივე ჩხალთაში, აჭარაში. ჩვენ გვექონდა თავშესაფრები სპეციალურად დანიშნულების გამიზნული. ჩვენ გვექონდა ბევრი, ხეობაში ბევრი კაპიტალური შენობა, სადაც შეიძლება მომხდარიყო მოსახლეობის უსაფრთხო ადგილებში გადაყვანა და ამ სამსახურისგანაც და სხვა სამსახურებიდანაც ჩვენ ვღებულობდით ძალიან სერიოზულ და ინტენსიურ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ ბოლო პერიოდში თვითონ კონფლიქტურ რეგიონში მდგომარეობა იყო ძალიან დამაბული.

თავმჯდომარე. ამ სამსახურზე თქვენვე ფიქრობთ, რომ სამსახურზე ხაზგასმა აქ არის, საუბარი, რა ჰქვია, სისტემაზე, რასაც გეგმის ნაწილი ჰქვია. ქალბატონ ხათუნას, უნდა რაღაც საკითხი და შემდეგ გავაგრძელოთ.

ხ.გოგორიშვილი. ბატონო მალხაზ, მე მაქვს ასეთი შეკითხვები. პირველი, რაც მინდა, რომ გკითხოთ მას შემდეგ, რაც აგვისტოს დასაწყისში უშუალოდ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე ცხინვალის რეგიონში დაიძაბა სიტუაცია, ესეა აღარ ჩამოვთვლი კონკრეტულ დეტალებს, რა ხდებოდა, რომელ სოფლებში. ალბათ, მე მაინტერესებს, გადავიდა თუ არა აფხაზეთის მთავრობა მუშაობის საგანგებო რეჟიმში. თუ გადავიდა, როდის, რომელი რიცხვიდან, რა სახის, ეს იყო ოფიციალური დოკუმენტით თუ მთავრობის სხდომაზე იყო მიღებული გადაწყვეტილება. კიდევ რაც მაინტერესებს, ეს არის რომ მოხდა თუ არა კონკრეტული ფუნქციების გადანაწილება აფხაზეთის მთავრობის წევრებს შორის მას შემდეგ, რაც უშუალოდ დაიწყო სამხედრო მოქმედებები და ალბათ, სავარაუდოდ იყო მოსალოდნელი, რომ მომხდარიყო ის ზემო აფხაზეთში, რაც მოხდა. მაინტერესებს აფხაზეთის მთავრობის კონკრეტული წევრების ქმედებები 7,8, 6,7,8 აგვისტოს განმავლობაში ისევე, როგორც თქვენი კონკრეტული ქმედებები ამ რიცხვების განმავლობაში. გმადლობთ.

მ.აქიშბაია. დიახ. შეიძლება, ხომ?

ერთს დავამატებ.

მ.აქიშბაია. აა, უკაცრავად.

ამინაშვილი. ჩვენი ფორმატის მიხედვით, აკაკი მინაშვილი, ბატონო მალხაზ, ერთი მოკლე კითხვა მაქვს ევაკუაციასთან დაკავშირებით. როდის დაიწყო მოსახლეობის ევაკუაცია ზემო აფხაზეთიდან და ჩართული იყავით თუ არა თქვენ აი, ამ დევნილების, უფრო სწორად, გადაადგილებული პირების აი, ამ ევაკუაციის პროცესში და შემდგომი დახმარების პროცესში და რა პერიოდში ხდება ყველაფერი ეს.

დ.ლორთქიფანიძე. მეც მექნება ერთი შეკითხვა სრული წარმოდგენა რომ შეგვექმნას, სრულყოფილი წარმოდგენა ხეობაში განვითარებულ მოვლენებზე. თქვენ ახსენეთ თვითმმართველობის ორგანოების შესახებ. თუ შეიძლება გვითხარით, რამდენი თემი იყო თავმოყრილი კოდორის ხეობაში ანუ ზემო აფხაზეთში. რამდენი დასახლებული პუნქტი იყო და მოსახლეობის რაოდენობაც, თუ შეიძლება, და სად გადიოდა პირობითი ადმინისტრაციული ზოლი. გმადლობთ.

მ.აქიშბაია. დიდი მადლობა. ესე იგი, დავიწყეთ პირველი კითხვით მდგომარეობის დამაბვასთან დაკავშირებით და კოორდინირებულ მუშაობასთან დაკავშირებით. მე მინდა გითხრათ, რომ სადაც 5, 5 ნოემბრისთვის ჩვენ გვექონდა მორიგი ძალიან სერიოზული ღონისძიება განსახორციელებელი კოდორის ხეობაში, ზემო აფხაზეთში. 13–დან 20 აგვისტოს ჩათვლით ჩვენ ველოდებოდით ყურნალისტებს დიდი ბრიტანეთიდან, რომლებსაც უნდა გადაეღოთ დოკუმენტური ფილმი.

თავმჯდომარე. ბატონო მალხაზ, თქვენ თარიღზე შეგეშალათ 5 ნოემბერი თუ 5

მ.აქიშბაია. უკაცრავად. დიდი მადლობა, უკაცრავად. 5 აგვისტოდან, ესე იგი, ჩვენ გვექონდა დაგეგმილი სერიოზული ღონისძიება, რომელიც უნდა ჩატარებულიყო კოდორის ხეობაში 13 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. ეს იყო ერთკვირიანი ღონისძიება. ველოდებოდით დიდი ბრიტანეთის, ბრიტანეთიდან ჟურნალისტებს, რომლებსაც უნდა გადაეღოთ კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით. მათ აქვთ სერიალები სხვადასხვა ტერიტორიების, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში მიმდინარე კონფლიქტებთან დაკავშირებით დოკუმენტური ფილმები იღებოდა, დოკუმენტურ ფილმთა სერიის სერიალებს. ერთ-ერთი მათგანი იყო კოდორის ხეობასთან დაკავშირებით, ჩვენ უკვე ვაწარმოებდით წინასწარ მოლაპარაკებებს. ჩემს გეგმაში შედიოდა 13-ში, ე. ი. ასვლა ხეობაში, 14-ში, ომის დაწყების დღეა იცით და ეს სიუჟეტი, ყველაფერი ამეხსნა მათთვის და შემდგომში უკვე მენახებინა ის სოციალური წარმატებები, რასაც ჩვენ მივალწიეთ კოდორის ხეობაში, რომ, ანუ იმ პერიოდისათვის, რომ აი ესე, ვსაუბრობ 7 აგვისტომდე, რომ აი, ხვალ, ზეგ, შეიძლება მომხდარიყო რუსეთის მხრიდან, აი ესეთი, არაპროპორციული აგრესია, ამის მოლოდინი ნამდვილად არ იყო, მაგრამ როდესაც გამწვავდა მდგომარეობა 7 აგვისტოს ცხინვალში, ბუნებრივია, ჩვენ, იმ დღიდან დაწყებული, გადავედით, პრინციპში, შეიძლება ითქვას, საგანგებო მუშაობის საგანგებო მდგომარეობაში. ჩვენ 8 აგვისტოს შევიკრიბეთ ყველანი ჩვენს ოფისში, თბილისში. მთავრობის წევრებთან ერთად, პრაქტიკულად, გადავანაწილეთ ყველა უფლება-მოვალეობები და ფუნქციები. ამ დროისათვის, მე მინდა გითხრათ, რომ კოდორის ხეობაში, ამ დროისათვის როტაციული პრინციპით, ხეობაში იმყოფებოდნენ, ჩამოვთვლი, თუ ეს დროს არ წაიღებს, 12 აფხაზეთის მთავრობის თანამშრომელი, ეს იყო თეიმურაზ მჭავია, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი მევლუდ ჯაჭვლიანი, რომელიც არის მთავრობის წევრი ზემო აფხაზეთის საკითხებში, ვახტანგ ჯგუბურია, რომელიც არის ფინანსთა მინისტრი აფხაზეთის მთავრობის, ლევან ჯალაგინი, კვარაცხელია თამაზი, კიკნაძე სანდრო, რომელიც გარდაიცვალა ახლახან, კეკია მალხაზი, შურღია დავითი, კახიანი ემზარი, გუგუსიანი გიგლა, ჩარკვიანი ოთარი, ზარანდია ზურაბი. ეს ადამიანები არიან აფხაზეთის მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლები, როტაციული პრინციპით, რომლებიც იმყოფებოდნენ ხეობაში. ამას დამატებული, რა თქმა უნდა, თვითმმართველობა და ა. შ. მე, ჩემს ფუნქციაში შედიოდა, სხვა დარჩენილ მთავრობის წევრებთან და იმ ადამიანებთან, რომლებსაც შეეძლოთ რაღაც გარკვეული დახმარების გაწევა ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ხელისუფლებისათვის და ყოფილიყვნენ მათთან ერთად კოორდინაციაში. ჩვენ გადავანაწილეთ ფუნქციები, ხოლო შემდგომ 8-ში, სადღაც 3 საათზე, გავემგზავრე უკვე თბილისიდან დასავლეთის მიმართულებით იმისათვის, რომ შემდგომში ავსულიყავი ზემო აფხაზეთში. მე გავიარე გორშიც, ვიყავი სადღაც ნახევარი საათიდან ორმოც წუთამდე გორში, სადღაც, ზუგდიდში ვიქნებოდი ღამის საათებში. მაგრამ მე, ჩვენ, გვექონდა სატელეფონო საუბარი აჭარის მთავრობის ხელმძღვანელთან. პრაქტიკულად, ცნობილი იყო, რომ იმ დღეს მე ვერ ავიდოდი ხეობაში, ვინაიდან, ჩვენ ხეობაში როდესაც ავიდოდით ხოლმე, დილიდან გავდიოდით ანუ, სადღაც, დაგეგმილი გვექონდა, ზუგდიდს ვტოვებდით 12 საათზე იმისათვის, რომ სადღაც 5-6 საათზე, დღის განმავლობაში, ვყოფილიყავით კოდორის ხეობაში. შესაბამისად, მე, დაცვის წევრები გავუშვი 8 აგვისტოს ზუგდიდში რომ დამხვედროდნენ ისინი, ხოლო 8 აგვისტოს, უკვე საღამოს, მე ჩემს ერთ დაცვის წევრთან ერთად, დავრჩი აჭარაში იმისათვის, რომ მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად გავვევლო რიგი საკითხები. რა თქმა უნდა, ბუნებრივია, იყო საკითხები, საკმაო სასაუბრო გვექონდა, ამავდროულად, საჭიროების შემთხვევაში აჭარიდან მომხდარიყო კოორდინაცია, ვინაიდან ეს იყო ერთ-ერთი უახლოესი ადგილი, საიდანაც შეიძლებოდა კოორდინაციის გაწევა ჩვენი რეგიონის მიმართულებით. ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ 9-ში უკვე, 12 სთ-ზე ჩვენ დავტოვებდით ზუგდიდს და ზუგდიდიდან გავემგზავრებოდით კოდორის ხეობაში, რაც ასე მოხდა. ნუ, პრაქტიკულად, 12 სთ-ზე მე ვიყავი კოდორის, უკაცრავად, ზუგდიდში, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი ორი ფაქტი, რამაც შეაფერხა ამ დროს ჩვენი ასვლა. ერთი იყო ის, რომ ჩვენი თანამშრომელი, რომელიც ზუგდიდის წარმომადგენლობაში მუშაობდა და რომელიც ჩვენთან ერთად უნდა ამოსულიყო ხეობაში, ახალგაზრდა ადამიანი, სამწუხაროდ, ტრაგიკულად დაიღუპა და ამას დაემატა ის, რომ ჩვენი სპეცსამსახურის ერთ-ერთი მანქანა მოჰყვა იმავე დროს ავტოავარიაში, რომელიც, პრაქტიკულად, უმოქმედო იყო და ჩვენ მოგვიწია მეორე მანქანის გამოძახება თბილისიდან. ე. ი. ყველა ამ ფაქტორმა გამოიწვია ის, რომ ჩვენ 9-ში ვერ შევემეღით ასვლა იმიტომ, რომ პროზექტურაში უნდა მიგვეყვანა, იქ ნათესავეები... სადღაც, 4-ის ნახევრამდე ეს პროცესი ვერ მორჩა. ნუ, ჩვენ ვიმყოფებოდით ზუგდიდში, თუმცა, ზუგდიდში იმ დროს, 9-ში ჩვენ მივიღეთ სატელეფონო ზარი, ჩვენ გვექონდა ე. ი. მაქსიმალურად ხშირი კონტაქტები ზემო აფხაზეთში ჩვენი მთავრობის წარმომადგენლებთან, მივიღე სატელეფონო ზარი, რომ სადღაც 2 სთ-დან პირველი დაბომბვა, რაც დაიწყო და ჩვენი საჰაერო სივრცის დარღვევა მოხდა 2 სთ-დან, სადღაც, 4-ის ნახევრამდე, უფრო სწორად, 2-ის ნახევრიდან 4-ის ნახევრამდე. მას შემდგომ უკვე მე მქონდა მთელი დღის განმავლობაში სატელეფონო კავშირი ხეობასთან. იყო, ფაქტი ჰქონდა უამრავ საჰაერო სივრცის დარღვევას ხეობაში, თუმცა, უკვე დაბომბვები 9 აგვისტოსთვის არ განხორციელდა. ის დამე მე დავრჩი ზუგდიდში. ზუგდიდში 10-ში, 10 აგვისტოს დილის 7 სთ-ზე მე მივიღე სატელეფონო ზარი კოდორის ხეობიდან, რომ დაიწყო დაბომბვა ზემო აფხაზეთის, რასაც მოჰყვა უკვე ინტენსიური დაბომბვები ხეობის. სადღაც, 5 წუთში დაიბომბა, ამავდროულად, იცით ფაქტი, რომ დაიბომბა ურთის მთა ზუგდიდის ანუ ჩვენც მოვეყვით დაბომბვაში და, ბუნებრივია, ჩვენ გვექონდა ძალიან ხშირი და ინტენსიური კავშირები ჩვენს წარმომადგენლებთან ზემო აფხაზეთში. ჩვენ ველოდებოდით მდგომარეობის გაუმჯობესებას იმისათვის, რომ ჩვენ შეგვეძლო და ჩვენი მიზანი, ჩემი, პირადად, მიზანი იყო იმაში, რომ მე ავსულიყავი ხეობაში, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორებმა, მათ შორის, ზემოდან მოსულმა ინფორმაციამ, რომ ძალიან ინტენსიურად და ხშირად იბომბებოდა ხეობა, მათ შორის, სპეცსამსახურების ინფორმაციამაც, რომლებსაც ევალებათ უსაფრთხოების გადაადგილების, გადაადგილებაზე პასუხისმგებლობა, გამოიწვია ის, რომ ჩვენი ასვლა 9 აგვისტოს შეფერხდა ამ მიზეზების გამო. შემდგომ,

უკაცრავად, 10 აგვისტოს. შემდგომ თქვენც იმყოფებოდით ზუგდიდში, ბატონო პაატა, ჩვენ...

თავმჯდომარე. 9-ში.

მ.აქიშბაია. 9-ში, უკაცრავად, 9-ში...არა, ეს იყო 10.

თავმჯდომარე. არა, ჩვენ 9-ში ვიყავით, მაგრამ 10-ში....

მ.აქიშბაია. 10-ში, ჰო, 9-ში სალამოს... 10-ში პრეზიდენტი ჩამობრძანდა ზუგდიდში. მე პრეზიდენტის ვიზიტის პრეზიდენტის წასვლის შემდეგ, სადღაც 1 საათი, საათ –ნახევარი ვიყავი ზუგდიდში, მაგრამ მივიღე გადაწყვეტილება, რომ ამავე დროს ხეობიდან მქონდა ინფორმაცია, რომ დაიწყო პირველი ნაკადის შემოსვლა ჩვენი, 9-ში ჰო, დაიწყო ჩამოსვლა მოსახლეობის და ნაწილი მათი განთავსდა ჭუბერში. ჭუბერი არის პირველი დასახლებული პუნქტი ზუგდიდის რომ ეს იცით. ანუ მთელი კოდორის ხეობიდან, როდესაც ჩამოდიხართ ზუგდიდის მიმართულებით. ჩვენი ფუნქცია უკვე მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ გაგვეწია ჰუმანიტარული დახმარება იმისათვის, რომ არ შექმნილიყო ჰუმანიტარული კატასტროფა ჭუბერში, ვინაიდან ჭუბერი იყო, პრაქტიკულად, ამდენი რაოდენობის ადამიანს იმ დროისათვის ვერ დაიტევდა. და ჩვენ, პირველი მთავარი ამოცანა ჩვენი მდგომარეობდა იმაში, რომ .ესე იგი, ჰუმანიტარული ტვირთი გამოგვეზავნა და კოორდინაცია გაგვეწია იმ მოსახლეობისათვის, რომ ისინი ჩამოსულიყვნენ არამხოლოდ ჭუბერში, არამედ ჭუბერიდან ზუგდიდში და მომხდარიყო შემდგომ მათი განთავსება და განლაგება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და ეს ასეც მოხდა. მე გავემგზავრე აჭარაში, 10-ში სალამოს ვიყავი აჭარაში და 11-ში დილით .ესე იგი, აჭარის ხელმძღვანელობის დახმარებით ჩვენ გამოვაგზავნეთ 2 ტონა ჰუმანიტარული, დაახლოებით 2 ტონა, 2 ტონამდე ჰუმანიტარული ტვირთი. როდესაც მივუახლოვდით ხობს უკვე პრაქტიკულად, ის იყო, ხობში ჩვენ გადავტვირთეთ ეს საქონელი მეორე მანქანაში, ვინაიდან მივიღეთ ინფორმაცია, რომ უკვე საოკუპაციო ჯარები მოემართებოდნენ აღმოსავლეთისაკენ და პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო ზუგდიდში შესვლა. შესაბამისად, ჩვენ ეს ტვირთი გავამგზავრეთ უკვე წითელი ჯვარი, წითელი ჯვრის მეშვეობით გავამგზავრეთ ხეობაში. ჩვენ გვექონდა აქტიური თანამშრომლობა, ჭუბერში, დიახ, ჩვენ გვექონდა აქტიური თანამშრომლობა წითელი ჯვრის წარმომადგენლებთან, გაეროს შესაბამის სამსახურებთან იმისათვის, რომ მომხდარიყო კოორდინაცია და უსაფრთხო ყოფილიყო როგორც ტვირთების ატანა, ასევე ადამიანების ჩამოყვანა რეგიონიდან. ამავდროულად, გამომჩნა მე, 10 აგვისტოს ჩვენ აფხაზეთის მთავრობამ პირველი ჰუმანიტარული ტვირთი გააგზავნა. ეს იყო უფრო მანამდე ანუ 11-ში იყო მეორე ტვირთი. 10 აგვისტოს ჩვენ გაგზავნეთ ჰუმანიტარული ტვირთი ასევე, ეს გამომჩნა მე. ეს იყო, 11-ში იყო მეორე ჰუმანიტარული ტვირთი და შემდგომ, მას შემდეგ, როდესაც ცნობილი გახდა, რომ საოკუპაციო ჯარები მოდიოდნენ თეკლათის მიმართულებით და ისინი განთავსდნენ თეკლათში. მე წავედი ბათუმში და ბათუმში ვიყავი 11-დან 13 რიცხვამდე და 13-ში უკვე გამოვემგზავრე თბილისში და 14 აგვისტოს ვიმყოფებოდი თბილისში. ჩემი რეგიონში დარჩენის ერთ–ერთი და მთავარი მიზანი და ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ კოორდინაცია გაგვეწია დევნილების ჩამოყვანის პროცესზე და ეს ასეც განხორციელდა. მე მიინდა გითხრათ, რომ პრაქტიკულად, ჭუბერიდან ჩამოყვანილი იქნა ორგანიზებულად 1250–მდე ადამიანი ზუგდიდამდე, რომლებსაც ხვდებოდა ჩვენი მთავრობის წარმომადგენლობა ზუგდიდის რეგიონში ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად. პირველი ნაკადი ჩვენ ორგანიზებულად ჩამოვიყვანეთ ანუ დაიწყო რეალური ჩამოყვანა ჭუბერიდან მოსახლეობის ზუგდიდისკენ 13 აგვისტოს. ეს პროცესი გაგრძელდა 17 აგვისტომდე და საერთო ჯამში ჩამოყვანილი იქნა 1250–მდე, ადამიანი, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი დარჩა ჭუბერში, რადგან სხვადასხვა ინფორმაციული..... გზაში, იგივე ურბესთან იყვნენ უკვე საოკუპაციო ჯარები და აფხაზეთიც ,მათ შორის, შესაბამისად მათ ჩათვალეს საჭიროდ, რომ მათი გადაადგილება ჭუბერიდან დავუშვათ, ზუგდიდის მიმართულებით იყო უსაფრთხო. შესაბამისად , ჩვენ ის ადამიანები დავტოვეთ იქ, მაგრამ შემდგომში სანამდეც, ჩვენ შევძელით ამ ადამიანების ბოლომდე ჩამოყვანა საქართველოს სხვადასხვა ადგილებში.

_____ ბატონო მალხაზ, თქვენ

თავმჯდომარე. ჩემ კითხვასთან დაკავშირებით მოინიშნეთ, თუ შეიძლება გაგვეცით პასუხი.

მ.აქიშბაია. ეს იყო მეორე კითხვა უკვე, ფაქტიურად გავეცი ევაკუაციის დაწყებას და არა მოსახლეობის რაოდენობის ჩამოყვანას

_____ მე, დამატებითი კითხვა მაქვს , მაგრამ ბატონ დიმიტრის,

მ.აქიშბაია. დიახ, მესამე კითხვა ჩანიშნული მაქვს, რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველობას. ესე იგი, ხეობაში მოსახლეობა იყო, ესე იგი, 1500 ადამიანამდე ზაფხულის, ესე იგი, ზამთრის პერიოდში, ხოლო ეს რაოდენობა მოსახლეობის ხეობაში აღწევდა 2500 და უფრო მეტსაც. მე მინდა გითხრათ, რომ პირველ ზაფხულს ჩვენ გვყავდა ხეობაში, როგორც ხეობელები, ზაფხულის პერიოდში განსაკუთრებით და ძალიან პირველ ზაფხულს, ეს იყო 2007 წელს და ამავდროულად თუ იყო იჭერდნენ, ესე იგი, ნათესავეებს, მათ მხოლოდ, 2008 წლის, ზაფხულისათვის ჩვენი ... ნათესავეები, არამედ სხვადასხვა რეგიონებიდანაც კი ჩამოჰყავდათ სტუმრები ანუ მოსახლეობის რაოდენობა ამ დროისათვის სავარაუდოდ იყო 2500–500 ადამიანი, როგორც მინიმუმ, ხეობაში იყო, ესე იგი, გამგებელი, საკრებულო, საკრებულოში, ჩვენ გვყავდა თურმე 14 წევრი. გამგეობაში გვყავდა, ესე იგი, გამგებელიც გვყავდა 4 რწმუნებული სოფლებში და ხეობაში სულ 18–მდე სოფელი. აი ეს არის ინფორმაციები ეხლა უცებ, რომ...

დ.ლორთქიფანიძე. უკაცრავად, ეს 4 რწმუნებული ნიშნავს, რომ 4 იმაში ხეობაში მთლიანად.

მ.აქიშბაია. პატარა სოფლების გაერთიანება იყო ჩვენ არ 18 ნამდვილად არ სჭირდებოდა ხეობას, იმიტომ, რომ იყო პატარა დასახლებული პუნქტები, სადაც 3 სოფელი, 3 ოჯახი, 4 ოჯახი, შესაბამისად, ჩვენ ე.ი. შევამცირეთ მათი რაოდენობა. ამან, პრაქტიკულად, გამგებელს ჰყავდა აპარატი და აპარატის გარდა მას ჰყავდა 4 რწმუნებული ამ სოფლებში, ხოლო, ძირითადად, როგორც ასეთი სახელწოდებებს ხეობაში იყო 18 სოფელი.

დ.ლორთქიფანიძე. ადმინისტრაციულ საზღვართან დაკავშირებით.

თავმჯდომარე. ადმინისტრაციული საზღვარი მთლიანად

ვნახოთ ჩვენ ყველა სახეობა.

მ.აქიშბაია. ხეობა იწყებოდა, ჭუბერიდან როდესაც ამოვდიოდით, ჩვენ ხიდას უღელტეხილში, როგორც ასეთი, რუკაზე ოფიციალური სახელწოდება არა აქვს იმ ადგილს, მაგრამ ეს ხეობა ხიდას უღელტეხილიდან ე.ი. ქლუხორის უღელტეხილამდე და, პრაქტიკულად, ჩადიოდა იმის ქვაბჩარამდე და ხო, ხო, ქვაბჩარასთან ე.ი. ეს იყო ყველაზე ბოლო დასახლებული პუნქტი, სადაც იყო, სადაც იდგნენ, როგორც ე.ი. რუსების სამშვიდობოები იყო ქვაბჩარასთან უკვე აქ, დასახლებულ პუნქტთან.

თავმჯდომარე. და ის ყოფილი ლათა სად მდებარეობდა?

მ.აქიშბაია. ლათა მდებარეობდა ქვაბჩარის ქვემოთ, სადაც ვრცელდებოდა ჩვენი იურისდიქცია. მე მაქვს ცნობილი მოვლენების თვე, 94 წელს, პრაქტიკულად, ლათაზე იურისდიქცია აღადგინა სეპარატისტულმა ხელისუფლებამ.

თავმჯდომარე. ბატონო მალხაზ, ე.ი. თქვენ რაც გონებრივად მოყვეით ყველაფერი და ჩვენ გაგვარჩნია გარკვეული მასალები და ის ჩვენებები, რაც ჩვენ, მეორე და საზოგადოებიდან მოსული კითხვები, ამიტომ ამ კითხვებს მივყვები. პირველი. ბატონმა გოროზიამ, სამეგრელოს გუბერნატორმა, ხაზი გაუსვა იმას, რომ დევნილების, მე ამას ვაზუსტებ, მერე რომ გაორებები არ გვქონდეს ინფორმაციაში, ხაზი გაუსვა იმას, რომ დევნილები მიიღო გუბერნატორმა პირადად და ის იყო, მისი სამსახური იყო ამითი დაკავებული. თქვენ მინდა გკითხოთ, რომ ვინ, ვისზე არაა საუბარი, ვინ ახორციელებდა დევნილების მიღებას ზუგდიდში გოროზიასთან ერთად, თუ იყო ასეთი რაღაცა?

მ.აქიშბაია. ჩვენი, მე აღვნიშნე, რომ დევნილების, ჩვენი მთავრობის წევრები და ჩვენი წარმომადგენლობა, ბატონი პაატა შამუგია ესწრებოდა ამ პროცესს თავიდან ბოლომდე. მისი თანამშრომლები ჩართულები იყვნენ ამ პროცესში ისევე, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობა და კოორდინაცია ხდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, მაგრამ ჩვენი თანამშრომლები ამ პროცესში თავიდან ბოლომდე ღებულობდნენ მონაწილეობას ისევე, როგორც პროდუქტების დარიგებით, გადანაწილებით, დაპურებით და ა.შ.

თავმჯდომარე. ავტობუსების სატრანსპორტო ორგანიზება ე.ი. ავტობუსების ზუგდიდიდან ქუთაისში შემდგომ მათი გადაყვანა, რა თქმა უნდა, ეს ხდებოდა უკვე ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, ამიტომ სრულებით სწორი ინფორმაცია გვაქვს ბატონი ზაზასგან.

დ. ლორთქიფანიძე. ბატონო მალხაზ, თქვენ ბრძანეთ, რომ 8-ში 15 საათზე გამოემგზავრეთ დასავლეთ საქართველოს მიმართულებით. ბრძანეთ, ასევე, რომ მიემართებოდით ზემო აფხაზეთის მიმართულებით, მაგრამ გადაუხვიეთ, აჭარის მიმართულებით, გააგრძელებთ გზა ბათუმისკენ. განაცხადეთ, რომ აჭარიდან უნდა მოგეხდინათ კოორდინირება კოდორში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. იყო თუ არა ეს საკითხი შეთანხმებული საქართველოს პრეზიდენტთან ან რომელიმე მაღალი თანამდებობის პირთან?

მ.აქიშბაია. კონკრეტულად რა? ჩემი ვიზიტი აჭარაში თუ

დ. ლორთქიფანიძე. გადაწყვეტილება მოგეხდინათ, კოორდინირება, კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

მ.აქიშბაია. არა, კოორდინირება. მე ჩამოვთვალე სხვადასხვა საკითხებს შორის იყო ანალიზი, ანუ მე პრაქტიკულად, ვერ ვასწრებდი იმ დღეს ჩასვლას ხეობაში და აზრი არ ჰქონდა მე ზუგდიდში გავჩერდებოდი იმ დამეს თუ აჭარაში. ჩვენ მაინც უნდა გავმგზავრებულიყავით ზუგდიდიდან 12 საათზე და ბათუმიდან მე ჩავედი ზუგდიდში, ზუსტად 12 საათზე ვიყავი მე ზუგდიდში და იყო სხვადასხვა საკითხები, რაზეც ჩვენ ვსაუბრობდით.

თავმჯდომარე. არა, ბატონო მალხაზ, დავაზუსტებ. თქვენ პასუხობთ,

მაგრამ დავაზუსტებ მაინც ბატონი დიმიტრის შეკითხვას. აქაა საუბარი იმაზე, რომ აქ მნიშვნელობა არ აქვს, თქვენ სად იმყოფებოდით. აქაა საუბარი იმაზე, რომ თქვენ, როცა იმყოფებოდით ბათუმში, იყო, თქვენ ხაზს უსვამთ იმას, რომ უწევდით ბათუმიდან კოორდინირებას. იყო თუ არა ეს ვინმესთან შეთანხმებული. გეტყვით, რატომ ვსვამ ამას იმიტომ, რომ დღევანდელ დღემდე მოსულმა თანამდებობის პირებმა არც ერთმა არ დაადასტურა, რომ მას ჰქონდა კონტაქტი ან თქვენთან ან კოდორის ხეობასთან. ამიტომ ვსვამთ ამ კითხვას.

მ. აქიშბაია. უკაცრავად, როგორ, ვინ არ დაადასტურა?

თავმჯდომარე. ის თანამდებობის პირები, რომლებიც იყვნენ მოსულები კომისიაზე. ...ჩვენ ინფორმაცია მივიღეთ. ყველა თანამდებობის პირს, რომელსაც ჩვენ შევეკითხეთ, ვისთან გქონდათ კონტაქტი კოდორის ხეობაში, საუბარი არის თქვენთან ან, ვთქვათ, აფხაზეთის მთავრობის რწმუნებულთან, პირობითად ვიძახი, ვინც იყო კოდორის ხეობაში.

მ. აქიშბაია. მე ე.ი. ვიმეორებ....

თავმჯდომარე. ამიტომ გვინტერესებს ეს.

მ. აქიშბაია. ყველაფერს, მე მზად ვარ, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ დეტალურად მოვყვე ყველაფერი. აჭარაში ჩასვლის მიზეზი იყო რომ საერთო სიტუაციის გაანალიზება და საუბარი. ეს არავისთან არ იყო შეთანხმებული, მაგრამ უბრალოდ, საუბარი იყო და როგორც რიგითი ადამიანები, მსჯელობის დროს ჩვენ ვსაუბრობდით და ყველანაირ სცენარზე გვექონდა საუბარი. ეს იყო სუფთად, ადამიანური საუბარი, ანალიზი შექმნილი ვითარების, შექმნილი სიტუაციის და მდგომარეობის. მეორე დღეს ჩემი მიზანი საერთოდ დასავლეთში წასვლის მდგომარეობა იმაში, რომ საბოლოო დანიშნულების ადგილი ჩემთვის იყო კოდორის ხეობა და მე კიდევ დეტალებში, მზად ვარ, მოვყვე 9-დან დაწყებული.

რაც შეეხება კავშირს, მთელი ამ დღეების განმავლობაში მე მქონდა კავშირი ბატონ კახა ლომაიასთან, მუდმივი კავშირი, სატელეფონო კავშირი, როგორც უშიშროების საბჭოს თავმჯდომარესთან. მქონდა რამოდენიმე სატელეფონო ზარი თვითონ დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ბატონ გელა ბეჟუაშვილთან, რამოდენიმე სატელეფონო საუბარი, მაგრამ შემდგომ, მათთან არის შექმნილი, თუ არ ვცდები, რაღაც დავალებათა ცენტრი, სადაც იკრიბება მთელი ინფორმაცია. შემდგომ მქონდა მე უშუალოდ ამ ადამიანთან, სახელს და გვარს ვერ ვიხსენებ, მაგრამ პრობლემა არაა, ალბათ, შეიძლება ამ ინფორმაციის ამოწევა, რომელთანაც მქონდა მუდმივი კავშირი. ანუ ყველა ის ინფორმაცია, რასაც მე ვღებულობდი ზემო აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, მე ვაწვდიდი...

თავმჯდომარე. ხაზი მინდა გავუსვა ერთ რაღაცას, ბატონო მალხაზ, ბატონი გელა ბეჟუაშვილი არის დაზვერვის დეპარტამენტის თავმჯდომარე. აქ არის საუბარი კოდორის ხეობის მოვლენებზე. რატომ ვუსვამ ამას ხაზს. იმიტომ, რომ აქამდე აქ მოსულმა ადამიანებმა თქვეს, და ეს საზოგადოება უსმენს ამას და რომ არ იყოს

დამატებითი კითხვები და რადაცები, იმიტომ ვუსვამ ამას ხაზს, პირველ რიგში, რომ ბატონი გელა ბეჟუაშვილის კომპეტენციაში არ შედის კოორდინირება კოდორის ხეობის. ეს მან თვითონ თქვა და იმიტომ ვლაპარაკობ. კოდორის ხეობის სიტუაციის და სხვა რაც შეეხება ბატონ კახა ლომაიას, ჩვენ დავუსვით მას კითხვა, მას ჰქონდა თუ არა კავშირი კოდორის ხეობაში ვინმესთან, საუბარი არის კოდორის ხეობაზე. ბატონმა კახამ აღნიშნა, რომ კოდორის ხეობასთან მას არ ჰქონდა კავშირი. ამას ვუსვამ მე ხაზს იმიტომ, რომ ეს საჯარო ინფორმაციაა, რაც გავიდა. ამიტომ იყო ეს კითხვა დასმული.

რაც შეეხება, ბატონო მალხაზ, თქვენს გადაადგილებას, თქვენ დეტალურად აღწერეთ ეს და მართლაც თქვენ გაქვთ, დიახ.

ბ.გოგორიშვილი. ჩართულია?

თავმჯდომარე. დიახ.

ბ.გოგორიშვილი. დიახ. ბატონო პაატა, უკაცრავად, შეგაწყვეტინეთ, მე უბრალოდ იმისთვის, რომ ეს ქრონოლოგია, რომელიც ბრძანა ბატონმა მალხაზმა, დეტალურად გვქონდეს ინფორმაცია დღეების მიხედვით. ბატონო მალხაზ, იქნებ, დაგვიკონკრეტოდ, თქვენ ბრძანეთ, რომ 11–დან 13–მდე იმყოფებოდით ბათუმში. რა საქმიანობით, რითი იყავით დაკავებული ამ 2 დღის განმავლობაში და რა დამოკიდებულება და რა ურთიერთობაში იყავით ამ დროს აფხაზეთის მთავრობის წევრებთან და კოდორის ხეობასთან.

თავმჯდომარე. მე, სანამ ბატონი მალხაზი გასცემდეს პასუხს, რომ სრულყოფილი პასუხი იყოს, ბატონო მალხაზ, იცით თქვენ, რომ ჩვენ გარდა იმ კითხვებისა, რომელსაც ჩვენ ვსვამთ, ჩვენ ვღებულობთ კითხვებს საზოგადოებიდან და თქვენ საზოგადოებას არაერთხელ გაეცით პასუხი მედიის და მასმედიის საშუალებით კოდორის ომებთან დაკავშირებით და თქვენ გადაადგილებასთან დაკავშირებით. ჩვენ, კომისიამ მიმართა სამთავრობო დაცვა, თქვენ როგორც დაცვის ობიექტი სარგებლობთ სამთავრობო დაცვის სტრუქტურით და ჩვენ გვანტერესებდა, რადგანაც საზოგადოებაში იყო გაჩენილი კითხვები გადაადგილებასთან დაკავშირებით, მინდოდა სრული პასუხი აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოძრაობასთან დაკავშირებით. თქვენ, რა თქმა უნდა, გაეცით ფაქტიურად ამ კითხვას პასუხი. მე წავიკითხე ამ წერილს იმიტომ, რომ გარკვეული უზუსტობები არის გადაადგილებასთან დაკავშირებით და ამ წერილის შემდეგ სრულყოფილად შეიძლება პასუხი გაეცეს უკვე თუ რატომ ხდებოდა ეს. სამთავრობო დაცვა ჩვენ გვატყობინებს, ეხლა მე თანამშრომელთა სიას არ წავიკითხე, ეს გახლდათ. 8 აგვისტოს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, ზუგდიდის მიმართულებით. ამის შემდგომ დაგვემხილა იყო გამგზავრება ზემო აფხაზეთში, როგორც თქვენ აღნიშნეთ. დასაცავი პირის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე სისტემატურად გაფრთხილებდნენ ზემო აფხაზეთში არსებული დამაბულობის შესახებ, რაც თქვენი ისა, ქალაქ სამტრედიაში ჩასვლისას დასაცავმა პირმა შეცვალა გეგმა და მძლო ოფიცერთან ერთად გაემგზავრა ქალაქ ბათუმში. ხოლო დაცვის ჯგუფი გააგზავნა ქალაქ ზურდიდში, როგორც თქვენ აღნიშნეთ. მეორე დღეს ბატონი აქიშბაია ჩავიდა ქალაქ ზუგდიდში, ეს არის 9 რიცხვზე საუბარი, ხოლო ზუგდიდიდან დაცვასთან ერთად გამოემგზავრა 10 აგვისტოს ისევე ქალაქ სამტრედიაში. მან დაცვის ჯგუფი, გაცილების მანქანით, დაჟინებული მოთხოვნით დატოვა სამტრედიაში და მძლო ოფიცერის თანხლებით გაემგზავრა ქალაქ ბათუმში. აქ კითხვას დავმატებ, რატომ დატოვეთ თქვენ დაცვა სამტრედიაში? 11 აგვისტოს ისევე განხორციელდა შეხვედრა სამტრედიაში, რაც თქვენ აღნიშნეთ, რათა გაეგზავნათ ჰუმანიტარული ტვირთი ჭუბერის მიმართულებით. ტვირთი გაცილებულ იქნა ქალაქ ხობამდე, რის შედეგადაც გადაეცა წითელი ჯვრის ორგანიზაციას, რადგან არსებობდა ინფორმაცია, რომ ზუგდიდის რაიონში გამოჩნდა საოკუპაციო დანაყოფი. იმავე დღეს ზემოაღნიშნული ჯგუფი დაბრუნდა სამტრედიაში და ბატონ აქიშბაიას მოთხოვნის შესაბამისად დაცვა დარჩა სამტრედიაში, ხოლო დასაცავი პირი მძლოლთან ერთად დაბრუნდა ბათუმში. ეს არის 11 აგვისტო. 11 აგვისტოს საოკუპაციო დანაყოფი გამოჩნდა სამტრედიაშიც. ბატონმა აქიშბაიამ დაცვის ჯგუფი გამოიძახა ქალაქ ბათუმში, მან უბრძანა ჯგუფს, გამგზავრებულიყვნენ თბილისში, თვითონ რჩებოდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ვარშალომდესთან და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას განახორციელებდა აჭარის დაცვის მთავარი სამმართველო. დაცვა დაბრუნდა თბილისში შემდეგი მარშრუტით, ბათუმი, ხულო, ახალციხე, მანგლისი, თბილისი, რადგან შეიარაღებული სპეცსამსახურის თანამშრომლების გასვლა გორიდან შეუძლებელი იყო. 12 აგვისტოს დილით, ჯგუფი იმყოფებოდა უკვე თბილისში. 13 აგვისტოს, დასაცავი პირი დაუკავშირდა დაცვის უფროსს და უბრძანა, ისევე გამოემგზავრებულიყო დაცვის ჯგუფი ბათუმში, რადგან იგი აპირებდა დაბრუნებას ქალაქ თბილისში, რაც განახორციელა მიმდინარე წლის 14 აგვისტოს. აგრეთვე დაცვის ჯგუფი იტყობინება, რომ მათ დატოვეს 12 აგვისტოს 2 საათზე ინტენსიური დაბომბვის პირობებში და მაქსიმალურად ხელს უწყობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაციას, საუბარი არის კოდორის ხეობაზე, სადაც იმყოფებოდა 20 – კაციანი ჯგუფი. ბატონო მალხაზ, რა იყო აი ამ გადაადგილებების მიზეზი, ... თქვენ პასუხი რომ გასცეთ, ქალბატონი ხათუნას კითხვას და რატომ, რა იყო მიზეზი იმისა, რომ თქვენ დაცვა, რა თქმა უნდა, დარჩა სამტრედიაში?

———დიახ, ბატონო ვახტანგ, სანამ კითხვაზე პასუხს გაგცემდეთ, ერთი, ასე თუ ისე, უხერხული კითხვა მინდა დაგისვით, თუმცა ეს კითხვა არსებობს სახოგადოებაში. სად იმყოფებოდნენ თქვენი ოჯახის წევრები 8 აგვისტოდან 14 აგვისტოს პერიოდში, მაშინ, როდესაც თქვენ იმყოფებოდით ბათუმში?

მ. აქიშბაია. მე, უბრალოდ, პირველი კითხვა, ქალბატონო ხათუნა, ერთი სიტყვა მიწილადეთ, რაღაც გამომჩა, ხომ არ შემახსენებდით თქვენს კითხვას?

ხ.გოგორიშვილი. თქვენ ბრძანეთ, რომ მას შემდეგ, რაც ჰუმანიტარული ტვირთი ხობამდე ჩაიტანეთ, დაბრუნდით ბათუმში და 13-მდე დარჩით ბათუმში. აი, ეს, 11-დან 13-მდე პერიოდში რა საქმიანობით იყავით დაკავებული ბათუმში?

მ. აქიშბაია. კი, გამახსენდა, ე. ი. მინდა გითხრათ, რომ ეს პერიოდი მე დაკავებული ვიყავი და, ალბათ, ლოგიკითაც, მე შევეცდები ამის ახსნას და უფრო ნათელი გახდება, როდესაც ყველა ფაქტებს ერთად შევკრიბავთ. ჩემი მთავარი მიზანი მდგომარეობა, ვყოფილიყავი დასავლეთ საქართველოში, რომ სრული კოორდინაცია გამეწია დევნილების უსაფრთხო ჩამოყვანაზე ჭუბერიდან ზუგდიდის მიმართულებით. კიდევ ერთი პიროვნება, რომელთანაც მე მქონდა კავშირი ამ პროცესთან დაკავშირებით, იყო ბატონი ჯამბულ ბაკურაძე, რომელმაც შემპირდა, რომ მთავრობაში, ე. ი. მოხდებოდა და დაიწყებოდა ამ საკითხების განხილვა იმიტომ, რომ ტრანსპორტის დახმარება და ა. შ. ჩვენ გვექონდა კავშირი ასევე იმერეთის გუბერნატორთან, გვექონდა კავშირი ასევე, ბატონ ზაზა გოროზიასთან, სამეგრელოს გუბერნატორთან, რომელიც დაგვხვდა. საბოლოო ჯამში, იმერეთი და სამეგრელო დაგვხმარა ჩვენ იმაში, რომ მოხდა დევნილების უსაფრთხო გადმოყვანა ზუგდიდიდან იმერეთში და შემდგომ, სხვადასხვა რეგიონებში. რაც შეეხება თვითონ ხეობიდან დევნილების ჩამოყვანის პროცესს და ჩვენს დახმარებას, რაში მდგომარეობდა, ეს მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ, პრაქტიკულად, საწვავით უზრუნველვყავით ჩვენი მარაგებით და მოხდა, ამავედროულად, ორგანიზება, ამ ადამიანების შეკრება და გაფრთხილება, რომ საჭირო არის ევაკუირების დაწყება. შესაბამისად, ჩვენ ყველა ამ შეთანხმებულმა და კოორდინებულმა მუშაობამ მოგვცა იმის საშუალება, რომ, პრაქტიკულად, მსხვერპლის გარეშე მოხდა ხეობის დატოვება, მიუხედავად, თუ გავითვალისწინებთ იმ რთულ კლიმატურ პირობებს, იმ გზას, იმ რელიეფს და ა.შ. ანუ ჩვენი მთავარი მიზანი მდგომარეობდა, რეგიონში დარჩენის, მდგომარეობდა იმაში, რომ გავგეწია კოორდინაცია დევნილების უსაფრთხო დაბრუნებასა და გადანაწილებაში. ეს ასევე მოხდა. ახლა, ალბათ, სხვა ფაქტებიც მეტყველებს ამაზე და გვექნება ნათელი სურათი.

მე გადავალ უკვე მეორე კითხვაზე, რაც იყო დასმული. ე. ი. ჩვენ როდესაც გავემგზავრეთ ხეობაში, 8-ში როდესაც წავედით, დაცვის წევრები წამოსულები იყვნენ, ანუ თავიდან ბოლომდე, გამომდინარე იმ მდგომარეობიდან, რა პირობებშიც ჩვენ სავარაუდოდ მოგვიწვედა ასვლა ხეობაში, იყვნენ თავიდან ბოლომდე, კანონის შესაბამისად შეიარაღებულნი იყვნენ სამხედრო ფორმაში. მე გითხარით, კიდევ ერთხელ, რომ როდესაც ბათუმში დავდიოდი მხოლოდ, დაცვის ე. ი. მძღოლთან ერთად და ამის მარტივი მიზეზი იყო, მდგომარეობდა იმაში, რომ არ მინდოდა, უბრალოდ, ქალაქში რომ პანიკა ყოფილიყო და ჩემთან ერთად გადაადგილებაში ყოფილიყვნენ სამხედრო ფორმით შეიარაღებული თანამდებობის პირები. ეს იყო ზუსტად იმის მიზეზი, რომ მე დავდიოდი ბათუმში მხოლოდ მძღოლთან ერთად.

რაც შეეხება იმას, რომ მე გავეცი განკარგულება, ამაში ცოტა უზუსტობაა იმიტომ, რომ ბათუმში ჩვენთან ერთად იმყოფებოდნენ მთავრობის სხვა წევრები და რიგითი დეპარტამენტების, ჩვეულებრივი დეპარტამენტების თანამშრომლები, რომლებმაც მიიღეს ...

თავმჯდომარე. რომელი მთავრობის, ბატონო მალხაზ?

მ. აქიშბაია. აფხაზეთის მთავრობის, მე ვსაუბრობ აფხაზეთის მთავრობაზე.

თავმჯდომარე. კონკრეტულად ვისზეა საუბარი, მერე რომ არ იყოს, რომ თქვენ მარტო იყავით.

მ. აქიშბაია. ჰო, რა თქმა უნდა, ე. ი. აფხაზეთის მთავრობის რამოდენიმე ადამიანი ჩემი, ე. ი. 9, 10, 11, პრაქტიკულად, ეს ადამიანები იყვნენ ამ სამხედრო ფორმაში. ჩემი მიზანი, მიზეზი იყო ჰუმანური სუფთად იმიტომ, რომ მე არ მინდოდა, ეს ადამიანები ყოფილიყვნენ ბათუმში ჩემთან ერთად. მე ვიყავი აჭარის იგივე სამსახურის დაქვემდებარების ქვეშ, ამიტომ არანაირი საფრთხე და უსაფრთხოება ჩემს ბათუმში ყოფნას და გადაადგილებას არ შეექმნებოდა, ბუნებრივია, და შესაბამისად, მივიღე ეს გადაწყვეტილება, რომ ისინი წასულიყვნენ სახლში, ამავედროულად გაეცილებინათ ის სხვა მთავრობის ე. ი. თანამშრომლები, რომლებიც იმყოფებოდნენ იმ დროისათვის ბათუმში. ჩემთვის, ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ და თუ საუბარი არის იმაზე და რისთვის იქნა ჩემს მიერ გაცემული განკარგულება, რომ დაცვის წევრები წასულიყვნენ ბათუმიდან, ჩემთვის ყველაზე უფრო მარტივი გზა იქნებოდა, რომ მეც მათთან ერთად წავსულიყავი იმ გზით და ამ გზაზე იმ

დროისათვის, ეს გზა იმ დროისათვის იყო ყველაზე ნაკლებად საშიში. მე გამოვედი ამ გზით მესამე დღეს, როდესაც უკვე პატარა ინციდენტებიც კი იყო უკვე ამ გზაზე, იგივე რაღაც დაყაჩაღებების და ასეთის თვალსაზრისით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ჩემი მთავარი მიზანი და მიზეზი ე.ი. აჭარაში დარჩენის, წარმოდგენდა კოორდინაციის გაწევას, ჰუმანიტარული ტვირთების გაგზავნას, რაც ჩვენ შევძელით ორჯერ, ე.ი. უსაფრთხო ჩამოყვანა, ხომ, ჭუბერიდან ზუგდიდამდე და შემდგომ ... როდესაც ეს პროცესი დაიწყო პრაქტიკულად, მე ჩემს იქ ყოფნას აჭარაში აზრი არ ჰქონდა და მე გამოვემგზავრე თბილისისაკენ 13 აგვისტოს და მე გითხარით, რომ 13 აგვისტოს მოგახსენეთ ინფორმაცია, რომ პრაქტიკულად, დაიწყო დევნილების მასიური ჩამოყვანა რეგიონიდან. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ერთადერთი მიზანი და მიზეზი აჭარაში ყოფნისა. რაც შეეხება დამატებით კითხვას ოჯახის წევრებთან დაკავშირებით, ჩემი ოჯახის წევრები მთელი ამ პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდნენ და ამას დაადასტურებს იგივე ის სპეცსამსახურები ... თბილისში საცხოვრებელ ბინაში.

_____ ბატონო მალხაზ. აქ საუბარი არის იმაზეც, რომ თქვენი პასუხებიდან ჩანს, რომ აჭარაში ყოფნის მიზეზი თქვენი იყო, რომ თქვენ თვლიდით, რომ კოორდინაციის გაწევა იქიდან უფრო უკეთესი იყო ... თუ შეიძლება, დიახ და მთავრობის წევრები, რომლებიც იმყოფებოდნენ თქვენთან. ეს ... ინფორმაციაა, რომ მთავრობის წევრები, დევნილთა მიღება ხდება, ვთქვათ, სამტრედიასა და ზუგდიდში და ვთქვათ, ამ მიმართულებით და რომელი მთავრობის წევრები იმყოფებოდნენ თქვენთან ერთად და რომელი მთავრობის წევრებს თქვენ დაავალეთ. თქვენ აღნიშნეთ მთავრობის წევრი არ არის, მაგრამ თვითმმართველობის ... წარმომადგენელი, სხვა მთავრობის წევრებს, ვის ჰქონდა დავალება დევნილთა მიღების და როგორ ახერხებდით კავშირს ... მობილური, რა მეთოდებით ახერხებდით კავშირს უფრო სწორად, იგივე დევნილებთან, იმიტომ, რომ მობილური კავშირები ფაქტიურად პარალიზებული იყო. გქონდათ თუ არა თქვენ რაღაც სპეციალური კავშირი თქვენი მთავრობის წევრებთან.

მ.აქიშბაია. სატელეფონო კავშირი გვექონდა, მობილური კავშირის მეშვეობით ხდებოდა ე.ი. იქ დაკავშირება. ჩვენ გვყავს წარმომადგენლობა სამეგრელოში ბატონი პაატა შამუგიას ხელმძღვანელობით და მისი თანამშრომლები ღებულობდნენ მონაწილეობას ადგილობრივი თვითმმართველობის წევრებთან ერთად დევნილების მიღებაში, დაპურებაში და გადანაწილებაში. ჩვენ გვყავს ასეთივე წარმომადგენლობა იმერეთში და მათი ეს თანამშრომლობა თავიდან ბოლომდე დაკავებულ ები იყვნენ ე.ი. დევნილების მიღებით და იცით, რომ პირველი ნაკადი განთავსდა იმერეთში, ქუთაისში კერძოდ, და მიმდებარე ქალაქებში. ხოლო თბილისში მთავრობის სხვა დანარჩენ წევრებს ევალეზობდათ კოორდინაციაში ყოფილიყვნენ საქართველოს ხელისუფლებასთან და რაღაც დამატებითი დავალების შემთხვევაში მაქსიმალურად გაეწიათ და ეთანამშრომლათ მათთან. ჩემთან ერთად ამ მომენტში, ჩემთან ერთად იმყოფებოდა საგანგებო დავალებათა სამინისტროს ხელმძღვანელი ბატონი მალხაზ ბარამია და მისი რამოდენიმე თანამშრომელი, რომელთაც სურდათ ე.ი. ჩემთან ერთად გამგზავრებულიყვნენ ხეობაში.

_____ ეს ბათუმში და ხეობაში მიემგზავრებოდნენ ალბათ, ზუგდიდიდან, პრაქტიკულად, ლეჩხუმში.

თავმჯდომარე. ბათუმში იყვნენ თუ ზუგდიდში.

მ.აქიშბაია. ზუგდიდიდან დაწყებული ე.ი. 9, 10 საღამოდან და მოყოლებული ე.ი. 11 აგვისტომდე ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ ზუგდიდში ... ამ ტვირთის გაცილება და ა.შ.

თავმჯდომარე. არა, მე ხაზს ვუსვამ ბათუმში მთავრობის წევრებს ...

მ.აქიშბაია. კი,კი, რაღაც მინდა ხაზი გავუსვა,

თავმჯდომარე. კი, ბატონო.

მ.აქიშბაია. უფრო სწორად, იყო ქალაქში, მაგრამ იყვნენ სულ სხვა თავიანთ საქმეებზე ჩემთან. მე ვიყავი ამ დროისათვის, ფაქტიურად, ვიზუალური კონტაქტი ბათუმში მათთან არ მქონდა.

თავმჯდომარე. აი ამას, ხაზი, რომ ეხლა, მაგათ გადაადგილებას, ეს კომისიის ინტერესში არ შედის. ეხლა ძალიან ძნელია თავის საქმეებზე მათ პირობითად საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, მარა მე თქვენს.... ხაზი იმიტომ გავუსვი, თქვენ თანდათან იყო ბატონი დიმიტრის, ბატონო დიმიტრი, თქვენ უნდა თქვათ?

დ.ლორთქიფანიძე. ბატონო მალხაზ, პირდაპირ გეტყვით არ დამაკმაყოფილა ერთ-ერთ კითხვაზე, თქვენმა პასუხმა. მინდა უფრო კონკრეტული ხასიათის პასუხი მივიღო. თქვენ ბრძანეთ ჩემს დასმულ კითხვაზე, როდესაც დაგისვით კითხვა, თუ რატომ გადაუხვიეთ ზუგდიდიდან ბათუმის მიმართულებით, განაცხადეთ, რომ აზრი არ ჰქონდა, მე ბათუმში ვიქნებოდი თუ ზუგდიდში ვიქნებოდი. თქვენ ამით აკონკრეტებთ, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა ზუგდიდიდან გაუწევდით ჰუმანიტარული ტვირთებით ხეობის მომარაგებას კოორდინაციას თუ ბათუმიდან. ამას გულისხმობდით?

მ.აქიშბაია. არა, იმ დროისათვის, როდესაც კიდევ ერთხელ ვიმეორებ 8 აგვისტოსთვის, ჰუმანიტარული ტვირთის დახმარების აუცილებლობა არ იყო, ეს ხომ გასაგებია. 8 აგვისტოს, მე წამოვედი თბილისიდან 3 საათზე, ანუ ზუგდიდში ვიქნებოდი საღამოს 8 საათისთვის, ნორმალური სვლით. ზუგდიდში მე ვერ დავტოვებდი იმ ღამეს და ვერ წავიდოდი ხეობაში იმიტომ, რომ ხეობაში იმ დროისათვის გადაადგილებას, ჩვენ არასდროს არ ვახორციელებდით ხეობიდან, ზუგდიდიდან ხეობაში, როდესაც მივიდიოდი, მივიდიოდი დღის საათებში. შესაბამისად, ღამეს სად გავათენებდი მე, იმ დროისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მე ჩემს კოლეგას დავუკავშირდი სატელეფონო საუბარი იყო გზაში და ჩვენ ის ღამე, 8 აგვისტოს ღამე მე გავატარე ბათუმში

დ.ლორთქიფანიძე. დაგიკონკრეტებთ მაშინ კითხვას. ბათუმში, თქვენი გამგზავრების გადაწყვეტილება, თქვენი პირადი უსაფრთხოებით იყო განპირობებული თუ კოორდინირების მეტი მოხილურობით.

მ.აქიშბაია. არანაირი პირადი უსაფრთხოების საშიშროება იმ დროისათვის არ არსებობდა. ეს იყო უბრალოდ, როგორც კოლეგასთან გასაუბრების და საერთოდ, ანალიზი შექმნილი ვითარების და მდგომარეობის.

თავმჯდომარე. ვარშალომიძესთან, აქ მარტივად პასუხი გაცემულია.

_____ კი, ბატონო, აქვე მაქვს შეკითხვა. რამოდენიმე შეკითხვა დამიგროვდა. ბატონო მალხაზ, თუ ფლობთ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციათა მართვის სამთავრობო კომისიის შესახებ? ხართ თუ არა ამ კომისიის წევრი და ხომ ვერ გვეტყვით ვინ არის კომისიის თავმჯდომარე?

მ.აქიშბაია. მე ამ კომისიაში, კომისიის წევრი არა ვარ და მასში მონაწილეობას არ ვღებულობ არ მიმიღია მონაწილეობა.

_____ თუ გსმენიათ აღნიშნული კომისიის შექმნის შესახებ და მისი ფუნქციონირების შესახებ?

მ.აქიშბაია. მსმენია, მაგრამ არ მიმიღია მონაწილეობა, რომ, კომისია, ასეთი, რომ არსებობს, კიდევ ერთხელ.

_____ აქვე, კიდევ ერთი შეკითხვა. თქვენ ბრძანეთ, როდესაც 8 – ში, 3 საათზე, გამოხვედით თბილისიდან შეიარეთ გორში, როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, გენერალური შტაბის ხელმძღვანელის, ბატონი ზაზა გოგავასგან, 8–ში, 11 საათზე, გორში უკვე ფუნქციონირებდა ოპერატიული შტაბი. ხომ არ შესულხართ ამ ოპერატიულ შტაბში, ხომ არ მიგიღიათ რაიმე მითითება შტაბიდან ან თქვენ ხომ არ გაგიცვლიათ ინფორმაცია?

მ.აქიშბაია. მე გორში ვიმყოფებოდი. იმ დროისათვის, როდესაც ვიმყოფებოდი გორში, ადგილზე მითხრეს, რომ უკვე შტაბის წევრები გადაადგილდებოდნენ. მე რომ გორში დამატებითი დრო არ დამეკარგა, პრაქტიკულად, განვაგრძე. გორში ვიყავი სულ რაღაც ნახევარი საათი. როდესაც პრესსამსახურის შტაბთან მივედი იყო, ნუ, პრაქტიკულად, ვინაიდან დავინახე, რომ კომისიის წევრები, შტაბის წევრები გადაადგილდებოდნენ. ბუნებრივია, არ გავჩერებულვარ და არც ერთ შტაბში არ მივსულვარ და არც ერთი შტაბის წევრი, წევრთან საუბარი ან მაღალი თანამდებობის პირთან, მე გორში საუბარი არ მქონია. პრაქტიკულად, უბრალოდ, ფაქტისთვის მოვიყვანე, რომ გავიარე გორში, რაღაც ნახევარი საათით შევყოვნდი და გავაგრძელე გზა დასავლეთისკენ.

დ.ლორთქიფანიძე. კიდევ ერთი შეკითხვა. 8–ში 15 საათამდე თქვენ მოიწვიეთ მთავრობის სხდომა, სადაც, როგორც ბრძანეთ, გადაანაწილეთ, უფლებამოსილებანი გაანაწილეთ. აი, ამ უფლებამოსილებათა ჩარჩოში თქვენ, როგორც მთავრობის თავმჯდომარეს, რა მისია გერგოთ და კონკრეტულად რაში მდგომარეობდა აღნიშნული

ფუნქციები თქვენი?

მ.აქიშბაია. ჩემი მისია მდგომარეობდა იმაში, რომ მე ავსულიყავი ხეობაში და ადგილზე, ისევე, როგორც ყველა ულტიმატუმების დროს და ბევრჯერ ვყოფილვარ ხეობაში, ავსულიყავი ხეობაში და ადგილზე, ადგილიდან ე.ი. ვყოფილიყავი იმ პირობებში ხეობაში, როდესაც უკვე სამხრეთ ოსეთში იყო ძალიან დიდი დამაბულობა. არ იყო გამორიცხული, რომ, პრაქტიკულად, შეიძლებოდა ანალოგიური გამეორებულიყო, მე გეუბნებით 8 აგვისტოს გადმოსახედიდან, ზემო აფხაზეთშიც. ჩემს ფუნქციაში მდგომარეობდა ის, რომ მე ავსულიყავი ხეობაში და შემესრულებინა ჩემი ფუნქცია—მოვალეობები ხეობაში ჩემი მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, რომლებიც იმყოფებოდნენ ხეობაში.

დ.ლორთქიფანიძე. კიდევ ერთი შეკითხვა, ბატონო თავმჯდომარე, თქვენის ნებართვით. თქვენ განაცხადეთ, რომ 9-ში სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო თქვენ ვერ შეძელით ხეობაში ასვლა. მათ შორის, იმიტომ, რომ იყო გვიანი და იმისათვის, რომ ხეობაში ასულიყავით უნდა გასულიყავით დილის საათებში. მე მინდა შეგეკითხოთ: აი, სამთავრობო დაცვის სამსახურიდან გამოგზავნილ წერილში აქ დაფიქსირებულია, რომ 2006 წლის აგვისტოდან სისტემატიურად იმყოფებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაცვის მთავარი სამმართველოს 20 თანამშრომლისგან შემდგარი შენაერთი თქვენგანვე რწმუნებული რეზიდენციის დაცვის მიზნით, რომელმაც 12 აგვისტოს ღამის 2 საათზე ინტენსიური დაბომბვის პირობებში დატოვეს ხეობა. მე მაინტერესებს შეგეკითხოთ, რომ გასულიყავით 9 აგვისტოს, თუნდაც საღამოს საათებში ხეობის მიმართულებით, რამდენ ხანში შეაღწევდით ხეობაში? იყო თუ არა შესაბამისი საგზაო პირობები, რომ ხეობამდე მიგედწიათ?

მ.აქიშბაია. მე ამ კითხვაზე ძალიან მარტივად გიპასუხებთ, მაგრამ მომიწევს უფრო დეტალურად ავიღწიროთ, აღწერო ის ვითარება და ის პირობები და იმ პირობებში თუ რა პირობებშიც ჩვენ გვიწევდა ზემო აფხაზეთში ასვლა. მე რამოდენიმეჯერ ზამთარ—ზაფხულ და იყო დრო, როდესაც 24 საათიც დამჭირვებია ხეობაში ასვლა, ზვავსაშიშროების პირობებშიც და მინდა კიდევ უფრო დავკონკრეტდე და მაშინ, თუ ასე წავიდა საუბარი, უფრო დეტალებშიც მინდა გითხრათ, რომ სანამ აგვისტოს მოვლენები იქნებოდა,

თავმჯდომარე. ბატონო მალხაზ, მე არ გავართულებ პასუხს,

მ. აქიშბაია. არა, არა, არა,

თავმჯდომარე. დავაზუსტებ კითხვას, რომ არ იყოს ისეთი ისა, საუბარია მე არასწორად გავიგე, თქვენ სვამთ კითხვას, რომ 9-დან 12 რიცხვის ჩათვლით შესაძლებელი იყო თუ არა ასვლა?

—————არა, გამომდინარე პასუხიდან, 9-ში რამ შეუშალა ხელი.

თავმჯდომარე. აა, მორჩა მაშინ.

მ. აქიშბაია. ჩემთვის, ბატონო დავით, ძალიან გასაგები კითხვა იყო. უბრალოდ, მე იმისათვის, რომ თქვენ გქონდეთ სრული წარმოდგენა, თუ რა პირობებში გვიწევდა ჩვენ ასვლა და რა საფრთხეებთან გვქონდა საქმე. მე ამაზე ყურადღება იმდენად არ გამიმახვილებია, მაგრამ თუ ასეთ დეტალებში გაინტერესებთ, მეც მზად ვარ, რომ დეტალური პასუხი მოგცეთ, ე. ი. ჩვენ გვიწევდა, ძალიან რთულ პირობებში ხეობაში გადაადგილება, განსაკუთრებით, ამ გზაზე, არა კომფორტის თვალსაზრისით, არამედ

————— უკაცრავად, უნდა შეგაწვევტინოთ, ბატონო მალხაზ, საუბარია ზუგდიდიდან თქვენს გამგზავრებაზე და აქ ხეობაზე ჯერ არა მაქვს საუბარი. ხეობამდე რომ მიგედწიათ, თქვენ უნდა ასულიყავით ჭუბურამდე, ანუ უნდა გაგველოთ ხაიში, უნდა გაგველოთ ჯვარი და აქედან გამომდინარე, ჯერ ხეობაზე არ არის საუბარი. ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, ეს არის აბსოლუტურად კომფორტული გზა, ასფალტირებული გზა და შესაბამისად, ხეობამდე მიხვიდოდით თავისუფლად. მე მაქვს საუბარი ხეობიდან, ჭუბურიდან ხეობამდე.

მ.აქიშბაია. ხეობიდან ჭუბურამდე ასვლას უნდა სულ რაღაც საათ—ნახევარი, მაგრამ, საათი კარგი სვლით, მაგრამ იქ ჩემს ყოფნას იმ დროისათვის, მე ვფიქრობ, რომ აზრი არ ჰქონდა, ჭუბურში ჩემს ყოფნას. ჩვენ თუ ავიდოდით ხეობაში ზუგდიდიდან, დავიძვრებოდით და ავიდოდით პირდაპირ ხეობაში. მთლიანობაში ამას სჭირდება, სადაც, 5 საათი ზუგდიდიდან ჭუბურამდე, ხეობის პირველ დასახლებულ პუნქტთან და საკენამდე ასვლას. მაგრამ მე ხაზი არ გამიმახვილებია იმ გარემოზე, რამაც მიმადებინა ეს გადაწყვეტილება და, ალბათ, და რა პირობები შეიქმნა. ერთი ის იყო, რომ ხეობიდან მოსული ყველა ინფორმაცია თვითონ სპეცსამსახურების ინფორმაცია, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ ზაფხულის პერიოდში სპეცსამსახურები ყოველთვის და ეს ინფორმაცია, ალბათ, მათ მოეპოვებათ, თუ თქვენ დაიკითხებით, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მე მაწვდიან ინფორმაციას და ჩვენ, მაქსიმალურად, გასაიდუმლოებული გვქონდა ჩვენი გადაადგილება

იმიტომ, რომ გზის რაღაც მონაკვეთი გადის ტყვარჩელთან ძალიან ახლოს და ამიტომ იყო საშიშროება იმისი, რომ პრაქტიკულად, იქ ხეობაში ყოფილიყვნენ დივერსიული, ამ გზაზე ჯგუფები. ე. ი. იყო უარი სპეცსამსახურების, რომ მე არ ავსულიყავი იმ პერიოდში ამ გზით ხეობაში და ის ინფორმაცია, რომ იბომბებოდა ინტენსიურად ხეობა და ხეობის ამ გზის მონაკვეთის 15 კილომეტრი გადის, ე. ი. მაღალმთიან რეგიონში, როგორც არის ძალიან გაშლილი და ვიზუალურად ძალიან კარგად შეიძლება დაბომბვის, ინტენსიურად დაბომბვის პირობებში. ესკორტი, რომელიც გადაადგილდებოდა, შეიძლებოდა ნამდვილად ყოფილიყო სამიზნე ამ დაბომბვების დროს და სხვათა შორის, ეს გზაც დაიბომბა, მინდა გითხრათ, ერთ-ერთი პირველი დაბომბვა, რომელიც მოხდა 8-ში, ამ დაბომბვის დროს პირველი დარტყმა მიაყენეს, როგორც თვითონ გზას, ისე იმ მიმდებარე მონაკვეთებს.

ბ. გოგორიშვილი. ბატონო მალხაზ, თქვენ ბრძანეთ, რომ აფხაზეთის მთავრობაში შემუშავებული იყო გარკვეული როტაციის წესი აფხაზეთის მთავრობის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების იქ ყოფნასთან დაკავშირებით. მე მაინტერესებს, და თქვენ ბრძანეთ, რომ 12, თუ სწორად ჩავიწერე, 12 ადამიანი, მათ შორის, მთავრობის წევრებიც და აპარატის თანამშრომლებიც იმყოფებოდნენ საომარი მოქმედებების დაწყებისას ხეობაში, ზემო აფხაზეთში. მე მაინტერესებს, როდის, პირველი, ე.ი. ეს ადამიანები დარჩნენ თუ არა, მოხდა თუ არა რაიმე ცვლილება. შეიძლება, ვიდაც სხვა ავიდა და ესენი წამოვიდნენ ანუ მოძრაობა მთავრობის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების ამ პერიოდში. და როდის დატოვეს მთავრობის წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა ზემო აფხაზეთი. გმადლობთ.

თავმჯდომარე. ბატონო მალხაზ, მე დავაზუსტებ, ბარემ ერთად რომ გაცეთ შეკითხვა. თქვენ აღნიშნეთ ის გარემოება, რომ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ბატონი თემურ მჟავია იმყოფებოდა კოდორის ხეობაში და ჩვენ იმ ინფორმაციით, რაც მან ხაზი გაუსვა თავის, საჯარო ინფორმაციაზე საუბარი აქ პრესით გაცემული, მან ხაზი გაუსვა, რომ დაახლოებით 10-ში ის გამოვიდა კოდორის ხეობიდან. მაშინ ვინ დარჩა იქ. შეიძლება, ის საკანონმდებლო ორგანოა, იერარქიული ცოტა სხვა მომენტია და ბატონი სახელმწიფო მინისტრი, თუ არ ვცდები თქვენი, ალბათ, იერარქიულად, მთავრობის მხრიდან მაქვს საუბარი და რატომ დატოვა საკანონმდებლო ხელისუფლების ხელმძღვანელმა 10 აგვისტოს, ე.ი. გამოვიდა ზუგდიდის მიმართულებით. რა იყო ამის მიზეზი.

მ.აქიშბაია. მე მასთან მოკლე საუბარში მან მითხრა, რომ ეს იყო გამოწვეული ჯანმრთელობის მდგომარეობიდან, ჯანმრთელობის მიზეზი იყო, მას რაღაც ფეხის პრობლემები ჰქონდა. რაც შეეხება მთავრობის სხვა წევრებს...

თავმჯდომარე. გზით გამოვიდა თუ საჰაერო...

მ.აქიშბაია. გზით გამოვიდა.

თავმჯდომარე. ე. ი. გზა იყო.

მ.აქიშბაია. იმ პერიოდისათვის საჰაერო მიმოსვლა იყო შეწყვეტილი...

თავმჯდომარე. არა, ხაზი მინდა გავუსვათ. თქვენ თქვით, რომ

იბომბებოდა გზა და ამიტომ 10-ში ის გამოვიდა, შემლო მან თუ ზევით წავიდა?

მ.აქიშბაია. არა, არა, მე მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ თემურ მჟავია ჩამოვიდა 9-ში და არა 10-ში.

თავმჯდომარე. ბოდიში, მე მისი საჯარო ინფორმაციით, რაც მან პრესით გაავრცელა.

მ.აქიშბაია. დიახ. ინტენსიური დაბომბვები დაიწყო ხეობაში ანუ, პრაქტიკულად, ე.ი. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ინტენსიური დაბომბვების დროს იქ გადაადგილება შეუძლებელი იყო, მაგრამ ხეობაში როდესაც ხარ, უკვე ხედავ ვიზუალურად, როდის არის დაბომბვა და ა.შ. გარდა ამისა, მინდა, ეს უკვე პირად საუბრებშიც ვრცელდებოდა ეს ინფორმაცია, რომ ხეობაში შეიძლებოდა ყოფილიყვნენ რაღაც დივერსიული ჯგუფები, მაგრამ, მე კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ იყო სხვადასხვა მიზეზები იმისა, თუ რატომ არ ავედი მე ხეობაში და, მე მგონი, ეს მიზეზები მე ჩამოვთვალე. რაც შეეხება, ყველაზე ბოლო ვინც გამოვიდა მთავრობის წევრებიდან, იყო ბატონი მეველუდ ჯაჭვლიანი, რომელმაც დატოვა ხეობა ყველაზე ბოლოს სპეცსამსახურებთან ერთად. იმ დროისათვის უკვე, პრაქტიკულად, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იყო უკვე იყო, ძირითადად იყო ე.ი. ჭუბერში და ... რა თქმა უნდა რამოდენიმე ადამიანი მთლიანობაში ხეობაში ჩვენი ინ ფორმაციით დარჩა 28 - მდე ადამიანი, მაგრამ დარჩნენ ისინი იმ დროისათვის ნუბაყოფლობით, იმიტომ, რომ ზოგი იყო მოხუცი, ზოგი, ანუ ნათესავები ხო, იმ ადამიანებისა, რომლებიც, პრაქტიკულად, აფხაზების მხრიდან შემოვიდნენ და ის სვანები, ადგილობრივები, რომლებიც იმეზნებოდნენ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების მიერ და რამოდენიმე ადამიანი დარჩა.

ძირითადად ჩვენ, პრინციპში, ყველა ადამიანს ხელი შევუწყვეთ იმისათვის, რომ მათ შექმნოდათ შესაბამისი პირობები და გამოსულიყვნენ იქიდან.

თავმჯდომარე. ბატონო მალხაზ. დეტალურად იმიტომ ხდება ამ კითხვების დასმა, რომ საზოგადოებაში ... მე მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ მე არ შემძლია ეს არ ვთქვა, ის გავრცელებული ჭორი, რომ თითქოსდა თქვენ იმყოფებით თურქეთში, არ დასტურდება, იმიტომ იყო გამოთხოვილი ეს მასალები და ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ეს სინამდვილე არ არის და თქვენ იმყოფებით აჭარაში. ბატონო მალხაზ, თქვენ როდესაც ნახეთ, რომ, ფაქტიურად, გამოდის ისე, რომ ... რომელმაც დატოვა 9-ში ტერიტორია, როდესაც სახელმწიფო მინისტრი განაგებდა ყველაფერს ამას, თქვენ, ალბათ, ... ამ რკინის შეკითხვებს აუცილებლად დავუსვამთ თავდაცვის მინისტრს, პრეზიდენტსა და შინაგან საქმეთა მინისტრს, მაგრამ რადგანაც თქვენ იყავით პოლიტიკური ხელმძღვანელი პირველი პირი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, იცით თუ არა თქვენ, თუ იყო ან საერთოდ ამაზე საუბარი? იყო თუ არა გაცემული ბრძანება კოდორის ხეობის დატოვებაზე? ვთქვათ, იგივე თქვენ მოგახსენეს თუ არა ამასთან ... საუბარი და იმ თქვენს კომპეტენციის ფარგლებში? მე ეხლა არ ვუსვამ ხაზს ძალოვან სტრუქტურებს იმიტომ, რომ მათთან ეს შეკითხვა იქნება დასმული. საუბარია თქვენს კომპეტენციაზე.

მ.აქიშბაია. ჩემი პოზიცია ამასთან დაკავშირებით, მე რაც გამაჩნდა პირველივე დღეებში და იმიტომ, რომ ვიცი ხეობა, ვიცი სასვლელი გზები, ვიცი იქაური რელიეფი. პრაქტიკულად ორი წლის განმავლობაში, კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა, რომ ხეობაში გვიწევდა უმეტესი დროის გატარება, რომ ძალიან ხშირად ასვლა. იმიტომ პირველი, რაც მას შემდეგ, როდესაც შემოვიდნენ რუსების საოკუპაციო ჯარები ზუგდიდში და მათ დაიწყეს ე.ი. ასეთი არაადეკვატური, არაპროპორციული ქმედებების განხორციელება, პირველი, რაც მე აუცილებლად ... ზუგდიდში, რომ მათი შემოსვლა ემსახურებოდა ბევრ მიზანს, მაგრამ, მათ შორის, ემსახურებოდა იმას, რომ კოდორის ხეობა მოქცეულიყო ალყაში, იმიტომ, რომ ქვემოდან და, თქვენც იცით, ბატონო თავმჯდომარე, რომ ლათის მხრიდან ხეობის აღება, პრაქტიკულად, არის შეუძლებელი, გამომდინარე იმ რელიეფიდან, რა რელიეფიც არის იქ. აუცილებელი, მთავარი არის აიღოს შესაბამისი წერტილები, იმისათვის, რომ მოხდეს, ხეობა, იმისათვის, რომ ხეობა უსაფრთხოდ იყოს დაცული. რაც შეეხება ბრძანების გაცემას, ეს უკვე კომპეტენციაში შედის

თავმჯდომარე. არა. თქვენ მიიღეთ თუ არა ბრძანება. თქვენ არ

მ.აქიშბაია. არა.

თავმჯდომარე. თქვენ მიიღეთ თუ არა ბრძანება კოდორის ხეობის დატოვებაზე აქ შეიძლება არაწორად დაისვა შეკითხვა და იმიტომ? თქვენ მიიღეთ თუ არა ბრძანება კოდორის ხეობის დატოვებაზე, გაქვთ თუ არა ინფორმაცია, თქვენმა რწმუნებულმა კოდორის ხეობაში შემდგომ ამ ოპერაციის დამთავრების ყველაფრის შემდგომ, მოგაწოდათ თუ არა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ მან მიიღო ბრძანება. მე ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ძალიან საინტერესო სურათი იკვეთება. მე არ ვიცი, სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც მოვლენ აქ, ჩვენ რა ინფორმაციას მოგვაწვდიან, მაგრამ ჯერჯერობით თქვენზე არაა საუბარი, როგორც მთავრობის თავმჯდომარეზე, საუბარი არის კოდორის ხეობაზე, თუ ვინც იყო სტრუქტურა იქ წარმოდგენილი, ყველამ გაუსვა ხაზი, რომ კოდორის ხეობასთან კავშირი არ ჰქონდა. აქ ეს კითხვა იმიტომ მძაფრდება ეხლა, კიდევ ხაზს ვუსვამ, მე იმიტომ ვსაუბრობ, რომ რაც თქვენ ბრძანეთ. იმიტომ, რომ რეალურად იკვეთება ასეთი სურათი. თითქოსდა, კოდორის ხეობა იყო მიგდებული და მას არავის არ ჰქონდა კავშირი, მე ხაზს ვუსვამ, იმ პირების მხრიდან, ვინც ჯერ იყო მოსული. დანარჩენის ის სამოქალაქო კომპეტენციაში შედის ესა. იმიტომ დაგისვით ეს კითხვა. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, მიიღეთ თუ არა თქვენ ეს ბრძანება და ან თქვენმა რწმუნებულმა მიიღო თუ არა ბრძანება.

მ.აქიშბაია. ესე იგი, ჩვენ ამ კითხვასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს შემდეგი პასუხი, რომ, აგერ შემახსენეს, ესე იგი, პირველი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან 9 აგვისტოს უკვე იქნა გაცემული ბრძანება, რომ დაწყებულიყო ანუ სამოქალაქო პირების ხეობიდან გამოყვანა და ჩვენს მთავარ ამოცანასაც წარმოადგენდა ზუსტად ეს ფუნქცია.

თავმჯდომარე. მაშინ დავაზუსტოთ, ვის გამო იყო ეგ ბრძანება მოსული.

ბ.აქიშბაია. არა, ბრძანება, როგორც ასეთი, ბრძანება არა, სიტყვიერი შეთანხმება იყო ზემო აფხაზეთში კოდორის

თავმჯდომარე. ბატონო მალხაზ, ამას ხაზი მინდა გავუსვა, ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმიტომ, რომ იგივე ჩემს მიერაც პარლამენტის სხდომაზე, როცა ეს კომისია არ იყო შექმნილი, იგივე სხვა პარლამენტის წევრების მხრიდან იდგა საკითხი, თუ რა მოხდა კოდორის ხეობაში და იყო თუ არა ბრძანება გაცემული კოდორის ხეობის დატოვებაზე. ამიტომ ვუსვამ ხაზს. თუ თქვენ საუბრობთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროდან, მაშინ კონკრეტულად დაგვისახელეთ ის პიროვნება. აქ თქვენ შეგიძლიათ თქვენს, ჰკითხოთ თქვენს სახელმწიფო მინისტრს, ის პიროვნება, რომელიც, უშუალოდ ბრძანება თუ არ გასცა, რა შეთანხმების საფუძველზე ახორციელებდა ამას. არა, არა, ბატონო მალხაზთან, თქვენ კომისიას დაბარებული ჰყავს მთავრობის თავმჯდომარე.

მ.აქიშბაია. ესე იგი, ჩვენ, და ეს ინფორმაცია მე ადრეც მქონდა,

თავმჯდომარე. ეხლა შეგიძლიათ დრო აიღოთ და

მ.აქიშბაია. ესე იგი, მინდა ამ საკითხთან დაკავშირებით გითხრათ, რომ 9–ში როგორც მეუბნება ბატონი მევლუდი იმყოფებოდა იქ და მე რაღაც სხვა ინფორმაცია რომ არ მოგაწოდოთ. ესე იგი, დღის 2 საათისთვის, ეს არ იყო რაღაც ბრძანების ხასიათი, ამას ჩვეულებრივად სიტყვიერი საუბარი, რომლის დროსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ბატონმა სოსო ქარჩაიძემ საუბარში მევლუდ ჯაჭვლიანთან, ესე იგი

თავმჯდომარე. დაადასტურეთ, რა თანამდებობაა ეს.

მ.აქიშბაია. შინაგან საქმეთა სამინისტროს... მე ვერ ვეტყვი მის კონკრეტულ თანამდებობას, მაგრამ ის იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელიც კოორდინაციას უწევდა ძალოვანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს...

თავმჯდომარე. ბატონო მალხაზ, მე კიდევ ერთხელ მინდა...თქვენ ხართ ავტონომიის ხელმძღვანელი. აქაა საუბარი იმაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებდა...ასე ვგებულობ მე პასუხს, შეიძლება, ვცდები და ამიტომ ვაზუსტებ ამას, რომ ახორციელებდა მართვას კოდორის ხეობისას და მაინტერესებს იმ თანამდებობის, თქვენ რაც დაასახელეთ გვარი, რა თანამდებობა უკავია, რომელიც მართავდა კოდორის ხეობას და თქვენ, როგორც მთავრობის თავმჯდომარემ არ იცით მისი თანამდებობა. ჰკითხეთ მაშინ.

მ.აქიშბაია. არა, მართავდა რას გულისხმობთ. ის იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ... (ხმა ადგილიდან) არის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელთანაც, ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელთანაც ბატონ მევლუდ ჯაჭვლიანს ჰქონდა საუბარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

თავმჯდომარე. მაშინ ასე გავაკეთოთ: მე გავყვები ამ საკითხს რაც შეეხება, ამას მნიშვნელობა აქვს და ჩვენ შეგიძლია დავხუროთ სხდომა ამ მიმართულებით იმიტომ, რომ ხაზი მინდა გავუსვა, ახლა, ჩვენ ვსაუბრობთ დახურულ სხდომაზე, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციებში შედის ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარე კოდორის ხეობაში წესრიგის დაცვა. ხაზს ვუსვამ მე ამას. ამიტომ აქ ჩნდება ახალი ინფორმაცია. ამიტომ მაშინ ჩვენ ამას დახურულ სხდომაზე გავაგრძელებთ, ამ მიმართულებას. თუ ამ მიმართულებით, სხვა მიმართულებით არის კითხვა, თუ არადა, დახურული გზით წავალთ.

დ.ლორთქიფანიძე კიდევ ერთი შეკითხვა, ბატონო მალხაზ. მე მინდა შეგვიტოხოთ, ე.ი. 8 აგვისტოს, როდესაც თქვენ შეიკრიბეთ, სანამ გამოემგზავრებოდით თბილისიდან, რომელი მთავრობის წევრი ანუ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი არ იყო ამ შეკრებაზე თბილისში და კონკრეტულად ვინ იმყოფებოდა აი ამ დროს, როცა თქვენ იყავით თბილისში შეკრებილნი, კოდორის ხეობაში?

მ.აქიშბაია. მე ამ შეკითხვას პასუხი გავეცი. იმ დროისათვის კოდორის ხეობაში იმყოფებოდა ...

დ.ლორთქიფანიძე. მაშინ დავაკონკრეტებ. საერთო კონტექსტში მინდოდა ჩამომეყალიბებინა. 8 აგვისტოდან 12 აგვისტომდე რომელი მთავრობის წევრი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა ავიდა კოდორში, 8 აგვისტოდან 12 აგვისტომდე?

მ.აქიშბაია. 8 აგვისტოდან 12 აგვისტომდე არც ერთი მთავრობის წევრი არ ასულა კოდორის ხეობაში.

თავმჯდომარე. 10-ში ჩამოვიდა მხოლოდ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. ასეა არ იყო, თქვა ბატონმა

მალხაზმა.

მ.აქიშბაია. მე კიდევ ერთხელ მინდა, რომ იყოს გასაგები, ერთი წუთით, რომ იყოს გასაგები ჩვენი მთავარი ამოცანა და... სანამ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან იქნებოდა ეს ჩვეულებრივი საუბარი, ჩვენი მთავრობის წევრებსაც, ჩვენც, იგივე, რაც მევლუდს ვეუბნებოდი, ბატონ მევლუდს, იყო საუბარი იმაზე, რომ ჩამოგვეყვანა დევნილები და დაგვეწყო, ინიციატივა მართო შინაგან საქმეთა სამინისტროდან კი არ მოდიოდა, ეს ბუნებრივია და ლოგიკურია, ხომ. ისევე, როგორც აფხაზეთის მთვრობამ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მაქსიმალურად მომხდარიყო ხალხის შეკრება, ორგანიზება და ამ ხალხის ჩამოყვანა უსაფრთხოდ რეგიონიდან. ეს იყო და ეს.

რ.თედორაძე. მე მაქვს ერთი შეკითხვა. ბატონო მალხაზ, აი თვითონ აი ეს ევაკუაციის დაწყებაზე ვინ მიიღო გადაწყვეტილება, თქვენ თუ თქვენმა წარმომადგენელმა ადგილზე და როგორც თქვენ ბრძანეთ, ეხლა, კოდორის ხეობამდე, იქ რუსეთის არმია შევიდა ჯერ ზუგდიდში, იგივე განმუხურში, მაგრამ იქიდან არ მომხდარა მთლიანად მოსახლეობის ევაკუაცია და რატომ იყო 8-ში უკვე, დადგა აუცილებლობა ევაკუაციის უკვე კოდორის ხეობიდან? თუ შეგიძლიათ ეხლა გვიპასუხეთ, თუ არა დახურულ პროცესში ამ შეკითხვაზე.

მ. აქიშბაია. ეს დახურულია თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს, ღიაა? ე.ი. 8-ში, კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ 8-ში დევნილების ევაკუაციაზე საკითხი არ იყო. ძირითადი დაბომბვები მასიური, ხეობის დაიწყო 9-ში. 10-ში დაიწყო, 9-ში დაიწყო დღის 2 საათზე, როგორც აღმოჩნდა და 10-ში დილიდან დაიწყო მასიური დაბომბვა. თქვენ უნდა იცოდეთ, როდესაც ვსაუბრობთ ხეობაზე, ხეობაში მიმოფანტულია სოფლები ანუ დაბომბვის პირველივე ფაქტის დროსაც იქნებოდნენ და ვთქვი, რომ ადამიანები, ბუნებრივია, დატოვებდნენ. თვითნებურად დაიწყეს რაღაც ნაწილმა გამოსვლა, მაგრამ მასიური და ორგანიზებული ჩამოყვანა მათი, მოხდა ჩვენი მთავრობის . . . თვითმმართველობის წევრებთან ერთად თვითონ კოდორის ხეობაში, როდესაც ჩვენ ყველა მანქანას ვაძლევდით, ჩვენი წარმომადგენლები საწვავს და ხდებოდა საწვავით მათი უზრუნველყოფა. ასევე, მათი ევაკუაცია მიმდინარეობდა ჩვენს მიერ ხელთ არსებული სატრანსპორტო საშუალებებით.

თამაჯლომარე. სხვა შეკითხვები არ არის. მე სანამ დახურული სხდომისკენ წავალ, მე კიდევ ერთხელ, იცით რა არის? აქ საუბარი არის დეტალებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, დახურულ სხდომაზე ამას გავივლით, მაგრამ რაც შეეხება საჯარო ინფორმაციას, საზოგადოებას ძალიან ბევრი შეკითხვები აქვს კოდორის ხეობასთან დაკავშირებით თუ რა მოხდა რეალურად. საზოგადოებას აქვს უფლება მიიღოს პასუხები ამ შეკითხვასთან დაკავშირებით. იმ . . . , სანამ დავხურავ სხდომას იმიტომ, რომ რაღაც ხაზი იკვეთება, რომ სახელმწიფო რწმუნებულთან, რომელიც იმყოფებოდა კოდორის ხეობაში, კოორდინაციაში იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო და ხდებოდა შეთანხმებების და გადაწყვეტილებების მიღება. სანამ დავხურავ სხდომას და დეტალებზე. მერე, უკვე დახურულ სხდომაზე ვილაპარაკებთ . . . საზოგადოებისათვის . . . იყოს. ჩვენ ეხლა მივდივართ დახურული სხდომისკენ. ვთხოვ, საინფორმაციო განყოფილებას, რომ შემატყობინოს, როცა დაიხურება სხდომა და ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას დახურულ სხდომაში, რეჟიმში. ბატონო მალხაზ, გთხოვთ ერთ რაღაცას, რომ დარჩეს მხოლოდ რწმუნებული, სახელმწიფო, კოდორის ხეობაში იმიტომ, რომ მას აქვს რწმუნება სახელმწიფო საიდუმლოებაზე, თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს ეს არა აქვთ. ვთხოვ, საორგანიზაციო განყოფილებას, ვისაც აქვს დაშვება, დარჩეს, დანაჩენებმა დატოვოს დარბაზი.